გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№47 (1637) 30 ნოემბერი — 6 დეკემბერი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

19 წლის გოგო 500 დოლარისთვის

წამებით მოკლეს

ვინ იპოვა გვამი და როგორ გავიდა გამოძიება მკვლელზე

პატრიარქის მკვლელობიდან მონაზვნის გაუპატიურებამდე

ეშმაკი პირჯვარს იწერს ანუ რატომ ვართ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა

ყველაფერი ჰერპესვირუსზე – რა სიმპტომები აქვს და შესაძლებელია თუ არა ჰერპესის მკურნალობა სახლის პირობებში

ინტერვიუ დერმატოლოგ სოფო ლილუაშვილთან

5 წლის ბავშვის გარდაცვალება – რა მოხდა რეალურად კახეთში სამი თვის წინ და რას ითხოვს გარდაცვლილის ოჯახი

„საკანში, ყოველდღე, გარდაცვლილის სულისთვის ლოცულობს" – რა წერია ექსპერტიზის დასკვნაში



125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის თანამშრომელმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელმა, ირაკლი როსტომაშვილმა აზიდვებში ახალი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა და გინესის სარეკორდო შედეგი კიდევ ერთხელ დააფიქსირა.

60 სმ-იანი პლატფორმიდან, 1 წუთის განმავლობაში შეასრულა აზიდვების 124 მოძრაობა. მისი ახალი რეკორდი საქართველოს რეკორდების ფედერაციამ დააფიქსირა და უახლოეს დღეებში, აღნიშნული შედეგი გინესის მსოფლიო რეკორდების ფედერაციის ოფისში გაიგზავნება.

ეს ირაკლი როსტომაშვილისთვის სხვადასხვა სტილით აზიდვებში დამყარებული რიგით მეოთხე მსოფლიო რეკორდია და შესულია გინესის რეკორდების წიგნში.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლის სარეკორდო გამოსვლა ტექნიკურ-მატერიალური ბაზით უზრუნველყო შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოში ევროკავშირის დელეგაციისა და გაეროს მომსახურების ოფისის (UNOPS) წარმომადგენლები ეწვივნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“ – ფარგლებში, რომელიც „ევროკავშირი უსაფრთხოებისთვის, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში“ (SAFE) ინიციატივის ნაწილია, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციისა და გაეროს მომსახურების ოფისის (UNOPS) წარმომადგენლები ეწვივნენ. ვიზიტის ფარგლებში, სტუმრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადმოცემული ტექნიკური აღჭურვილობა დაათვალიერეს და გაცნობითი ხასიათის შეხვედრები გამართეს სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელ პირებთან.

ევროკავშირის დელეგაციის ჯგუფის ხელმძღვანელი აგატა ნიბოი და UNOPS საქართველოს ხელმძღვანელი

კლოდ-ანდრე ნადონი ესტუმრნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, თბილისის პოლიციის დეპარტამენტს, საექსპერტო-კრიმინალისტიკურ და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტებს. სტუმრები დეტალურად გაეცნენ ევროკავშირის SAFE-ის პროგრამის ფარგლებში გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) მიერ შეძენილი აღჭურვილობის ეფექტიანობასა და მათი გამოყენების პირველად შედეგებს. შეხვედრების ფარგლებში, გაეროს მომსახურების ოფისის წარმომადგენლებს დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ აღნიშნული დანაყოფების საქმიანობის, არსებული გამოწვევებისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელმა პირებმა ევროკავშირისა და გაეროს მომსახურების ოფისის (UNOPS) წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადეს სამინისტროს ინსტიტუციონალურ განვითარებაში წლების მანძილზე შეტანილი წვლილისთვის და სამომავლო თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოხატეს.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებს სხვადასხვა დროს გადაეცათ შესაბამისი აღჭურვილობა, კერძოდ: საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს გადაეცა ოჯახში ძალადობის ელექტრონული მონიტორინგის 250 კომპლექტი, რათა მოძალადეების გადაადგილების მონიტორინგის გზით მოხდეს ოჯახში და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის პრევენცია; საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს – სპეციალიზებული საექსპერტო აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის მეშვეობითაც ექსპერტ-კრიმინალისტებს შეუძლიათ სწრაფად და ეფექტურად გააანალიზონ ფოტო და ვიდეომტკიცებულებები, ასევე, ჩაატარონ ნარკოტიკებისა და ფარმაცევტულ საშუალებათა სრულყოფილი ექსპერტიზა, თბილისის პოლიციის დეპარტამენტს კი გადაეცა სპეციალური ტექნოლოგიები, რომლითაც აღჭურვილია ბავშვთა ოთახი, სადაც გამომძიებლებს საშუალება აქვთ, გამოკითხონ არასრულწლოვნები მშვიდ, გარე ფაქტორებისა და ფსიქოლოგიური ზეწოლისგან თავისუფალ სივრცეში.

გაეროს მომსახურების ოფისის (UNOPS) პროექტი – „ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“ – შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2020 წლიდან მიმდინარეობს. მის ფარგლებში, სამინისტროს უკვე გადაეცა მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა. პროექტი – „ევროკავშირის უსაფრთხოების, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ (SAFE) პროგრამის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს უსაფრთხოების სექტორის ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას.

შიდა ქართლის პოლიციამ ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი ორი პირი: 1995 წელს დაბადებული ლ.ტ. და 1983 წელს დაბადებული ვ.გ. დააკავეს.

მათ ბრალად 1952 წელს დაბადებული პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობა და გაუპატიურება ედებათ. დანაშაული 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერაციულ სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორივე პირი ცხელ კვალზე, ბრალდებულის სახით დააკავეს.

ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისა და გაუპატიურების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 და სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში – „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სამართლებრივი ჩარჩო, მიმდინარე რეფორმა და საკითხები შემდგომი გაუმჯობესებისთვის“ – მონაწილეობა მიიღო.

ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ნატალია ვუტოვამ, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმ, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა, მართლმსაჯულებისა და სამართლებრივი თანამშრომლობის სტანდარტების დანერგვის დეპარტამენტის უფროსმა ფრედერიკ დოლტმა, საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროს, გენერალური პროკურატურისა და სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელმა პირებმა.

ალექსანდრე დარახველიძემ ხაზი გაუსვა გასულ წლებში, საქართველოში, სისხლის სამართლის რეფორმის დახვეწისა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს. მან ასევე აღნიშნა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიმიჯნება საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციები, რაც გამომძიებლებს მეტ ავტონომიურობას მისცემს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას. სიტყვით გამოსვლის დასასრულს, ალექსანდრე დარახველიძემ ევროპის საბჭოს მადლობა გადაუხადა ადამიანის უფლებათა დაცვის განვითარებისა და მართლმსაჯულების გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილისთვის.

აღნიშნული კონფერენცია ევროპის საბჭოს (COE) და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის – „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერა – სასამართლო რეფორმის სისხლისსამართლებრივი ასპექტები“ – ფარგლებში გაიმართა.

პატრიარქის მკვლელობიდან მონაზვნის გაუპატიურებამდე

ეშმაკი პირჯვარს იწერს ანუ რატომ ვართ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა

ნინო დოლიძე

ცხრამუხის ტაძარში მომხდარმა გაუგონარმა კრიმინალმა მთელი საქართველო შეძრა – მხცოვანი მონაზვნის დაყაჩაღება და ჯგუფური გაუპატიურება, მამა პეტრეს (კოლხი) თქმისა არ იყოს, ალბათ, იმის ნიშანია, რომ ერი, რომელიც თავს ღვთისმშობლის წილხვედრად თვლის, უფალს განუდგა და ბარაბას გზას დაადგა. ეკლესიის ადმინისტრაცია ანუ საპატრიარქო ცხრამუხის ტრაგედიის პასუხისმგებლობას მედიას, ესე იგი, ჩვენ, ჟურნალისტებს გვაკისრებს, ყველაფერი იმის ბრალია, რომ მაღალი იერარქიის სასულიერო პირებზე „ჰეითი“ (სიძულვილი) მიდისო, მაგრამ სინამდვილეში, მედია არაფერ შუაშია, რადგან ვის, ვის და, სწორედ საპატრიარქოს უნდა ახსოვდეს კარგად, რომ ჯერ კიდევ გასული ანუ მე-20 საუკუნის დასაწყისში, პატრიარქი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. არადა, მაშინ მედია ასეთი აქტიური არ იყო. ესეც რომ არა, ჟურნალისტების მოვალეობა სწორედ ის არის, რომ ინფორმაცია მოიპოვონ და გაავრცელონ, თუმცა ამ თემაზე საუბარი შორს წაგვიყვანს... ერთი სიტყვით, მონაზონზე თავდასხმამ საქართველოს ეკლესიის ქრონიკები გამახსენა, ქრონიკები, რომელზეც კარგმა მწერალმა, შესაძლოა, ბესტსელერიც დაწეროს, რასაც, ალბათ, ასე დაარქმევს – „ეშმაკი პირჯვარს იწერს“. დიახ, საქართველოს ეკლესიის ქრონიკებს, ბოლშევიკებიდან მოყოლებული, სისხლის სუნი ასდის. ყველაფერი კი მარტყოფის მონასტრის ტრაგედიით დაიწყო, რასაც მღვდელმთავართა სერიული მკვლელობები მოჰყა.

ბელზებელის ალგორითმი

... გარეშე თუ შინაური მტერი საქართველოს აოხრებას, როგორც ისტორია ცხადჰყოფს, ვაზის აჩეხვითა და ეკლესიაში შუღლის ჩამოგდებით იწყებდა. შესაძლოა, დღესაც სწორედ ამის მომსწრენი ვართ ანუ ვაზი, დიდი ხანია, იჩეხება; ეკლესიის მსახურზე თავდასხმა და ჯგუფური გაუპატიურება კი, მართლაც, კოშმარია. ამასობაში, ბელზებელი იქ, სადღაც, კუთხეში მშვიდად ზის და ხითხითებს... ბელზებელი 1918 წლის 26 ივნისსაც იცინოდა, თუმცა დანამდვილებით არავინ იცის, მარტყოფის მონასტერში რა მოხდა და ამას ცნობილი საზოგადო მოღვაწის, რ. ივანიცკის (ინგილო) ნათქვამიც მოწმობს: **„მარტყოფის მონასტრის საიდუმლო უცნობია! რა მოხდა წმინდა ანტონის მონასტერში, დანამდვილებით არავინ იცის... საუკუნეებში წარხდომილმა უნეტარესმა კათალიკოსმა საფლავში ჩაიტანა მარტყოფის ტრაგედიის ახსნა, მისი სასიკვდილო იარაღზე მიკრული ხელი კი ჰფარავს უღრმეს მწუხარებასთან ერთად მივარდნილი მონასტრის საიდუმლოებასაც!“**

სხვათა შორის, კირიონ მეორის მკვლელობაზე გამოძიება არ ჩატარებულა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მარტყოფის ტრაგედია ჩრდილოეთში დაიგეგმა. ეს ეჭვი უსაფუძვლო ნამდვილად არ არის, რადგან კირიონის ეროვნული სულისკვეთება რუსებს ნერვებს უშლიდა და ჯერ კიდევ ცარიზმის დროს, საერო ხელისუფლებამ მასზე საიდუმლო მეთვალყურეობა დააწესა. მას ე.წ. სასულიერო მთავრობაც „პოლიტიკურად არასაიმედო და მეფის ხელისუფლებისთვის მიუღებელ პიროვნებად“ მიიჩნევდა და ავიწროებდა. მეტიც, კირიონი გორის ეპისკოპოსობიდან გაათავისუფლეს, სამშობლოში მოღვაწეობა აუკრძალეს და რუსეთში, კამენეც-პოდოლსკის ეპარქიაში გააგზავნეს, რაც, პრაქტიკულად, გადასახლება იყო. ქართული ეკლესიის თავდადებული ქომაგის, ნიკოლოზ დურნოვის გადმოცემით, კირიონ საძაგლიშვილის საქართველოდან განდევნის საბაბი სვეტიცხოვლის ტაძარში, საბერძნეთის დედოფლის მიმართ, მის მიერ წარმოთქმული მისალმება გახდა, რომელშიც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსა და საქართველოს ეკლესიის აღმავლობა-წინსვლა ალეგორიულად მოიხსენია.

1905 წელს, კირიონ საძაგლიშვილს საქართველოში აბრუნებენ და სოხუმის ეპარქიის მმართველად ნიშნავენ. სწორედ ამ დროს, მეფის რუსეთი სოხუმში ასიმილისტურ ანუ აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილების პოლიტიკის გატარებას იწყებს, რასაც კირიონი დაუპირისპირდება... 1907 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, კირიონის წინააღმდეგ ბრძოლა განახლდება და, აფხაზთა გაქართველების ბრალდებით, სოხუმის ეპარქიის მმართველობიდან გაათავისუფლებენ. ადგილობრივი მოსახლეობა კირიონის დაცვას შეეცდება და ხელმოწერების შეგროვებას დაიწყებს. საპროტესტო წერილს ხელს 909 ადამიანი მოაწერს, მათ შორის, ადგილობრივი რუსები და აფხაზებიც: **„კირიონის დროს, რუსები – სლავურ ენაზე, ბერძნები – ბერძნულზე, ქართველები – ქართულ ენაზე ისმენდნენ წირვა-ლოცვას და აფხაზებიც მალე მოისმენდნენ აფხაზურ ენაზე“,** – ნათქვამი იყო საპროტესტო წერილში...

ერთი სიტყვით, საარქივო მასალები მოწმობს, რომ კირიონ მეორე შეთქმულების მსხვერპლი გახდა...

მარტყოფის მონასტრის საიდუმლო

... წმინდა ანტონის მონასტრის მყუდროება ცხენის ჭიხვინმა დაარღვია... ეტლიდან კათალიკოსი მძიმედ გადმოვიდა და ახლადგაღვიძებულ მზეს თვალი თვალში გაუყარა... არქიმანდრიტმა ტარასიმ და ვასილ კბილაშვილმაც მას მიჰბაძეს...

თავიდან გადწყვეტილი იყო, რომ პატრიარქს მარტყოფში ქრისტეფორე კაპანაძეც უნდა ხლებოდა, მაგრამ ეტლში ჩასხდნენ თუ არა, კათალიკოსს მოაგონდა, რომ საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში წიგნები დარჩა. გადაწყდა, წიგნებს ხვალ ქრისტეფორე ჩამოიტანს...

უწმინდესი პატრიარქი მარადისობისაკენ მიმავალ გზას მშვიდად გაუყვა...

1918 წლის 26 ივნისია...

მარტყოფის სანახებში სიკვდილი დანავარდობს...

... პატრიარქმა წელზე არამიწიერი სიცივე იგრძნო. ჯერ გაუკვირდა. მერე, ცალყბად გაიღიმა.

შეეშინდა?..

ალბათ, – არა...

ანდა, რისი უნდა შეშინებოდა?! ეს ხომ „ბრაუნინგია“, მისი გადასახლებისა და ჭირ-ვარამის თანამოსაყდრე...

ისე, კირიონს სიკვდილი სულ ფეხდაფეხ დაჰყვება. მართალია, რუს ეგზარქოსებს თავი როგორღაც დააღწია, მაგრამ კინაღამ სამშობლოში მოკლეს. ეს ამბავი შარშან, 1917 წლის 1 ოქტომბერს, სვეტიცხოველში, სწორედ იმ დღეს მოხდა, კირიონი კათალიკოს-პატრიარქად რომ აღსაყდრდა:

უწმინდესმა წირვა დაასრულა და, მღვდელმთავრების თანხლებით, გასასვლელისკენ დაიძრა. მოულოდნელად, უცნობი მიუახლოვდა და ქაღალდის ნაგლეჯი მიაჩეჩა. ანონიმურ წერილში გარკვევით ეწერა, ხალხში მკვლელია დამალული და ტაძრიდან გახვალ თუ არა, გესვრისო.

პატრიარქი წამითაც არ შეყოვნებულა...

გასასვლელამდე რამდენიმე ნაბიჯიღაა დარჩენილი...

მრევლი დაზაფრულია...

ყარამან კიკნაველიძემ ხალხის ტალღა გაარღვია და კირიონს გვერდით ამოუდგა. ყარამანი ავტორიტეტული კაცია. ადრე, თურმე, ყაჩაღად ყოფილა გავარდნილი...

დასასრული მე-4 გვერდზე

პატრიარქის მკვლელობიდან მონაზვნის გაუპატიურებამდე

მე-3 გვერდიდან

– მომეცით ხელი, თქვენო უწმინდესობავ! აბა, ვინმემ გაბედოს თქვენთვის სროლა! – შესძახა კიკნაველიძემ და პატრიარქი სამშვიდობოს გამოიყვანა...

ამ ამბიდან გავა სამი-ოთხი თვე და კირიონის მოკვლას კიდევ ეცდებიან. „მკვლელობის სცენარი“ კი საეკლესიო საბჭოს იმ სხდომაზე „დაიწერება“, რომელზეც კათალიკოსის პირადი მდივანი და საკათალიკოსო საქმეთა მმართველი უნდა აერჩიათ. ამ თანამდებობაზე კორნელი კეკელიძემ და კალისტრატე ცინცაძემ დავით დავიდოვის კანდიდატურა წამოაყენეს. დავიდოვის გაგონებაზე, კირიონს ფერი ეცვალა, თუმცა არ შეიმჩნია...

ზემოხსენებულ თანამდებობაზე კეკელიძე და ცინცაძე პროტექციას კიდევ ერთ პიროვნებას – ალექსანდრე ნიკიტინს უწევენ, თუმცა კირიონი ვეღარ მოითმენს და წამოიძახებს:

– თქვენ თუ საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს საქმეთა მმართველად დავიდოვს აირჩევთ, მე კათალიკოსის ხარისხს ავიყრი!

დარბაზში სამარისებური სიჩუმე გამეფდება...

სიტყვას საბჭოს წევრი, ობერ-პროკურორი ჩიტო კაპანაძე ითხოვს:

– გასაოცარია ზოგიერთის განწყობილება, როგორ შეიძლება, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს საქმეთა მმართველად იმ კაცის არჩევა, რომელიც მუდამ რუსის ეგზარქოსების ჯაშუში იყო!

დავით დავიდოვის მომხრეებს ნირი საბოლოოდ წაუხდათ...

საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს საქმეთა მმართველად ალექსანდრე ნიკიტინს ირჩევენ...

– ბატონო ჩიტო, დავით დავიდოვი შეშფოთებული გეძებთ, დღეს უკვე სამჯერ გიკითხათ, – მოახსენა მეორე დღეს, სამსახურში მისულ კაპანაძეს მსახურმა, თუმცა ობერ-პროკურორს ამ ფაქტისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია...

... საკათალიკოსო საბჭო დღესაც შეიკრიბება. ანაზდეულად, დარბაზში დავით დავიდოვი შემოვა, დამსწრე საზოგადოებას ცივად მიესალმება და ჩიტო კაპანაძეს მკვახედ ჰკითხავს:

– თქვენ რა სთქვით ჩემზე?

– ის, რაც ვიცოდი და საჭიროდ მივიჩნიე. უკან დაიწიეთ და თქვენი ადგილი დაიჭირეთ!

– გაიმეორეთ, რა სთქვით? – დავიდოვს თვალები დემონივით უელავს.

– მე ის ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ვინც რუსი ეგზარქოსების ჯაშუში იყო, თავისუფალი საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს საქმეთა მმართველი ვერ იქნება! – აუღელვებლად წარმოსთქვა კაპანაძემ. სწორედ ამ დროს, დავიდოვმა მუშტი მოუქნია. მერე, რევოლვერიც „იშიშვლა“, თუმცა დავით ჩიქოვანმა იმარჯვა და დავიდოვს ხელები დაუჭირა. ამასობაში, მილიციაც მოვიდა...

მერე, დრო რომ გავა, რევოლვერმომარჯვებული დავიდოვი კირიონის კაბინეტშიც შევარდება, თუმცა ამჯერად, მორჩილი გერმოგენე იმარჯვებს და კათალიკოსს „დემონის ბრჭყალებისგან“ იხსნის...

... ლოცვა რომ დაასრულა, კირიონმა ხელი სამუშაოს მიჰყო. ამასობაში ნაშუაღამევიც დადგა.

პატრიარქი დასაძინებლად მოემზადა...

ზუსტად ღამის პირველი საათია...

უწმინდესი, როგორც წესი, დილის 05.00 საათზე იღვიძებს. ამ ტრადიციას, ალბათ, არც დღეს დაარღვევს, მაგრამ... უკვე 06.00 საათი სრულდება, კირიონი კი არ ჩანს.

რატომ?

რა ხდება?

ნეტავ, ავად ხომ არაა?

– ცოტა ხანს კიდევ ვაცალოთ და თუ კარი არ გააღო, ჩვენ შევიდეთ, – გადაულაპარაკა ვასილ კბილაშვილმა არქიმანდრიტ ტარასის.

ცოტა ხანიც გავიდა...

კირიონი ისევ არ ჩანს...

არქიმანდრიტი ტარასი და დავით კბილაშვილი კათალიკოსის საძინებელში შედიან...

კირიონი საწოლზეა მისვენებული, სახე წითლად აქვს შეღებილი...

„ბრაუნინგიც“ აქვეა...

უწმინდესმა პატრიარქმა თავი მოიკლა?

არა, ეს შეუძლებელია!

დაუჯერებელია!..

იქნებ, ვინმე ფანჯრიდან შემოიპარა და მოკლა?

ეს უფრო ლოგიკურია, მაგრამ კათალიკოსის ოთახს მხოლოდ ერთი ფანჯარა აქვს, რომელიც მიწიდან 4 მეტრითაა დაცილებული. მაშასადამე, მკვლელს ოთახში უხმაუროდ შეღწევა გაუჭირდებოდა.

აბა, რა მოხდა?!

„ბოროტი სული“, იქნებ, კარიდან შემოვიდა?

დავუშვათ, ასეა, მაგრამ სანამ კირიონამდე მიაღწევდა, ჯერ ის ოთახი უნდა გაველო, სადაც არქიმანდრიტ ტარასისა და ვასილ კბილაშვილს ეძინათ, მაგრამ მათ ხმაური კი არა, ფაჩუნიც არ გაუგონიათ...

ერთი სიტყვით, ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ უწმინდესმა პატრიარქმა თავი მოიკლა? ისე, თუ თავის მოკვლას აპირებდა, ქრისტეფორე კაპანაძე წიგნების წამოსაღებად თბილისში რატომღა დატოვა?

იმ ღამეს მარტყოფის ტაძარში, იქნებ, დემონი შეიპარა?

იქნებ, თავად ლუციფერმა გამოჰკრა თითი ბრაუნინგს?

იქნებ... იქნებ...

... და კიდევ უამრავი „იქნებ“...

გავა წლები და ეს „იქნებ“ უარესად „გაფართოვდება“, „ჩაიხლართება“, ტყუილ-მართალი ერთმანეთში აიზილება და საქმე იქამდეც კი მივა, რომ ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი იტყვის, კირიონს „ბრაუნინგისთვის“ კი არ უნდა მიემართა, არამედ, ქართველი ერისთვისო. ისე, ისტორიკოს ჯანაშვილს კირიონი არც სიცოცხლეში ჰყვარებია, თურმე...

... მარტყოფის საიდუმლოდან გავა ზუსტად 75 წელი და „ბრაუნინგის ისტორია“ დეტალურად განმეორდება – სამაგრელოს მიყრუებულ სოფელში, ხიბულაში, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სიცოცხლეს დაასრულებს. კირიონის მსგავსად, გამსახურდიას სიკვდილიც ნაშუაღამევს „დადგება“, თუმცა გასროლას, მარტყოფისა არ იყოს, ვერც ხიბულაში გაიგონებენ. „ფანჯრიდან შეპარული დემონის“ ვერსია „გამსახურდიას საქმეშიც“ აბსურდულია: უცხო პირი წინა ოთახს ვერც ამჯერად გამოიყენებდა, რადგან იქ პრეზიდენტის დაცვასა და პრემიერ-მინისტრს ეძინათ.

იქნებ, ხიბულაშიც თავად ლუციფერმა გამოჰკრა თითი სასხლეტს?

იქნებ... და ისევ ეს მრავლისმთქმელი იქნებ...

... ლამის, ასი წელია, მარტყოფის მონასტერი საიდუმლოს ინახავს. ამ ხნის განმავლობაში, უწმინდესი პატრიარქის სიკვდილი, პრაქტიკულად, მხოლოდ ერთმა ადამიანმა, ისტორიკოსმა სერგო ვარდოსანიძემ შეისწავლა. ისე, გასაკვირი არაა, რომ „წითლები“ ამ ტრაგედიით არ დაინტერესდნენ, მაგრამ კირიონი ხომ ნოე ჟორდანიას ხელისუფლების დროს მოკლეს.

რატომ დადუმდა ეროვნული მთავრობა? ვინ შეუკვეთა კირიონის განადგურება? ვინ მოიყვანა „განაჩენი სისრულეში?“ რა ვერსიები გაჩნდა იმდროინდელ ქართულ პრესაში და მიდის თუ არა კვალი ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან? – ამ კითხვებზე პასუხები არ არსებობს. ერთი კია: კირიონის დაკრძალვის ხარჯები სახელმწიფომ გაიღო. საფლავის ქვა, საკათალიკოსო საბჭოს დავალებით, დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ და ქრისტეფორე კაპანაძემ, ნეოფიტე აგლაძეს დაამზადებინეს და 1919 წლის 10 ივნისს დადგეს...

კირიონის გარდაცვალებას საქართველოში სერიული მკვლელობები მოჰყვება: 1918 წლის სექტემბერში, მიტროპოლიტ ანტონ გიორგაძეს კლავენ, მერე – მღვდელ ტიმოთე ბაკურაძეს და ბერებს – მირიანსა და გერმოგენს...

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ხდება...

დავით დავიდოვიც უკვე „დიდი კაცი“ და ლეონიდეს ნდობით აღჭურვილი პირია...

... კირიონის მოკვლას მისი შინაკაცი, არქიმანდრიტი ტარასი დაიბრალებს. ხალხში ხმა გავარდება, ტარასი დავით დავიდოვმა მოისყიდა, 500 თუმანი მისცაო. იმასაც იტყვიან, ამ ხუთასი თუმნით, ტარასიმ კავკავში ძროხები იყიდა და თბილისში ფერმა „აიშენაო“... მოკლული კათალიკოსის მიერ შეკრებილ ხალხურ ლექსებსაც ტარასი მიითვისებს, რომელსაც მერე ლიტერატურულ მუზეუმს შესწირავს და თავმომწონედ იტყვის, ჩემი შეკრებილიაო...

... ასი წელია, მარტყოფის სანახები „ლუციფერის საიდუმლოს“ მალავს. ასი წელია, ვერავინ გაარკვია, რა მოხდა იმ ღამეს საპატრიარქო რეზიდენციაში...

1918 წლის 26 ივნისთან ერთად, 2022 წლის 26 ნოემბერიც „დემონურ სირცხვილად“ დარჩება – მაშინ უწმინდესი მოკლეს, ახლა კი მონაზონი დააყაჩაღეს და ჯგუფურად გააუპატიურეს.

და მაინც, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა...

წამლების გაიაფების რა საკანონმდებლო ცვლილებას განიხილავს პარლამენტი

მაკა რუხაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ფარმაცევტული კომპანია PSP გააფრთხილა. ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ არსებობს ინფორმაცია, თითქოს, თურქულ მედიკამენტებთან დაკავშირებით, PSP-ის აფთიაქებში მომხმარებლები შეცდომაში შეჰყავთ. მისი თქმით, მსგავსი ფაქტის განმეორებას საკმაოდ მკაცრი რეაგირება მოჰყვება. გარდა ამისა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, ზურა აზარაშვილი აქტიურად მუშაობს მედიკამენტების შემცირების საკითხზე – უკვე მომზადებულია კანონპროექტი, რომლის განხილვაც პარლამენტში მიმდინარეობს.

ვის აჩვენა ყვითელი ბარათი ირაკლი ღარიბაშვილმა

ვიდრე საკანონმდებლო ცვლილებას განვიხილავთ, რომლითაც საქართველოში, მედიკამენტების ფასი უნდა დარეგულირდეს, დეტალურად გავეცნოთ, რატომ და რის გამო გაბრაზდა ირაკლი ღარიბაშვილი:

„ერთი საგანგაშო ინფორმაცია მოვისმინე რამდენიმე დღის წინ და მინდა, პირდაპირ დავასახელო ეს კომპანია – PSP. თითქოს, PSP-ის აფთიაქებში, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას აქვს ადგილი. მაგალითად, როცა შედის მომხმარებელი და კონკრეტული წამლის ყიდვას ითხოვს და, ეს ვიცი, რომ დავალებაა, ასეთი ინფორმაცია არსებობს, ამას, რა თქმა უნდა, გადამოწმება სჭირდება, გამყიდველი ეუბნება, რომელი გნებავთ – ხარისხიანი ძვირიანი თუ უხარისხო თურქულიო. ამას რა ჰქვია, თუ არა მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა?! ესაა მტრობა, პირდაპირ! როგორ შეიძლება, ადამიანმა ასეთი უმსგავსობა ჩაიდინოს და მომხმარებელი, პენსიონერი შეიყვანოს შეცდომაში. ძალიან ბევრი გაჭირვებული ადამიანი ყიდულობს წამალს, ნებისმიერ შემთხვევაში, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ შევა აფთიაქში? ამას სჭირდება რეაგირება. მე ამის თაობაზე მქონდა საუბარი ბატონ ზურა აზარაშვილთან. მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში, ძალიან მკაცრი რეაგირება მოჰყვება თითოეულ ასეთ შემთხვევას! ესაა დაუშვებელი, მიუღებელი კატეგორიულად. გასაგებია, რომ ეს 200 მილიონი ლარი, რომელიც მათ უნდა წაეღოთ და, მათ შორის, ამ ჯგუფის ხელმძღვანელს, ეს მათთვის არაა სასიამოვნო ინფორმაცია, მაგრამ ჩვენი მთავარი ვალდებულება, მინდა, ყველას შევახსენო, მათ შორის, ოპოზიციას და ოპონენტებს, არის ჩვენს ხალხზე ზრუნვა და, სწორედ, რაც ხალხს სჭირდება, ის უნდა გავაკეთოთ. ამიტომ, ამ პროცესს ვერავინ შეაჩერებს“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, თურქეთის ბაზრის გახსნის შედეგად, წელიწადში, დაახლოებით, 200 მილიონ ლარს ზოგავს ქვეყნის მოსახლეობა. ღარიბაშვილის თქმით, ჯანდაცვის მინისტრი ზურა აზარაშვილი აქტიურად მუშაობს მედიკამენტების ფასების შემცირების საკითხზე:

„ეს რეფორმა ჩვენ დავიწყეთ გასულ წელს, იანვარში. მაშინ, ჩემი ინიციატივით გაიხსნა თურქეთის ბაზარი და ვთქვით, რომ ხარისხიანი GMP სტანდარტების წამლების შემოტანა დაიწყებოდა, რაც განხორციელდა წარმატებით. მაშინ, გახსოვთ, ძალიან სკეპტიკურად იყო განწყობილი ბევრი ადამიანი, არ სჯეროდათ ამ რეფორმის წარმატების. მახსოვს, ერთ-ერთი მთავარი მსხვილი შემომტანი, ფარმაცევტული კომპანიის მფლობელი აკრიტიკებდა ამ პროგრამას. მე მესმის, რომ ეს მათთვის იყო საკმაოდ დიდი დარტყმა, ვინაიდან, დაახლოებით, 200 მილიონ ლარს დაზოგავს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა წელიწადში, ამ რეფორმის შედეგად, მხოლოდ ამ ერთი კონკრეტული გადაწყვეტილების შედეგად. ქვეყანაში შემოვიდა ხარისხიანი თურქული მედიკამენტები, გაჩნდა მეტი კონკურენცია, რამაც საგრძნობლად გააიაფა წამლები. გახსოვთ, რომ კონკრეტული მაგალითები იყო ძალიან ბევრი, როცა წამალი ღირდა 200-300 ლარი, მაგრამ სწორედ ეს მედიკამენტები გაიაფდა და გახდა 30-40-50 ლარი“, – აღნიშნა პრემიერმა.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, მთავრობის ინიციატივით, ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს მედიკამენტების გაიაფებაზე. მეტიც, შესაბამისი კანონპროექტი უკვე მომზადებულია და პარლამენტის კომიტეტებში განხილვა მიმდინარეობს. მთავრობის სხდომის კვალდაკვალ, იმავე დღეს, პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებზე და მისგან გამომდინარე კანონპროექტებზე იმსჯელეს, რაც საკანონმდებლო დონეზე, რეფერენტული ფასწარმოქმნის დაშვებას ითვალისწინებს.

კომიტეტის სხდომაზე, მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ თამარ გაბუნიამ წარადგინა:

„კანონპროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იცვლება სახელმწიფო პოლიტიკა ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის სფეროში და თუკი დღეს სახელმწიფო პოლიტიკა ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის სფეროში ითვალისწინებს ეფექტიანი, უსაფრთხო და ხარისხიანი ფარმაცევტული პროდუქტის არსებობას საქართველოს ბაზარზე, შემოთავაზებული ცვლილებებით, სახელმწიფო პოლიტიკა ითვალისწინებს ხარისხიან, უსაფრთხო და ეფექტიან ფარმაცევტულ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას“, – განაცხადა თამარ გაბუნიამ.

მისი თქმით, წამლებზე დაწესდება ზედა ზღვარი, რის მიღმაც მედიკამენტის რეალიზაცია დაუშვებელი იქნება. საუბარია, საბითუმო დონეზე რეფერენტული ფასის განსაზღვრაზე. შედარება ხდება იმ ქვეყნებთან, რომლებიც საქართველოს მსგავსია მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ), მოსახლეობის რაოდენობისა და სხვა ეკონომიკური პარამეტრების მიხედვით. ეს მეთოდოლოგია აპრობირებულია ევროპის ქვეყნებში, სადაც ბევრი ქვეყანა იყენებს რეფერენტული ფასების მეთოდოლოგიას, როგორც მედიკამენტების ფასის რეგულაციისა და მედიკამენტზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ერთ-ერთ მექანიზმს.

კანონი შექმნის ფარმაცევტული პროდუქტის ფასის რეგულირების სამართლებრივ საფუძველს. კერძოდ, ადგენს მინისტრის უფლებამოსილებას, რათა განსაზღვროს ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების წესი და პირობები; განსაზღვროს მედიკამენტები, რომლებზეც გავრცელდება ფასის სახელმწიფო რეგულირება და განსაზღვროს მათი რეფერენტული ფასები; კრძალავს მედიკამენტების რეფერენტულ ფასზე მაღალ ფასში რეალიზაციას და ამასთან დაკავშირებით, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს და ადმინისტრირების ზომებს; ადგენს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ვალდებულებას, განახორციელოს ფასების ზედამხედველობა.

როგორც სხდომაზე აღნიშნეს, თავისთავად, კანონპროექტის პრინციპი მისაღებია, მაგრამ მსჯელობა გაიმართა მისი აღსრულების მექანიზმებზე. კანონპროექტი ითვალისწინებს სანქცირების მექანიზმსაც. მართალია, ჯარიმების ოდენობა ემყარება ევროპულ გამოცდილებას, მაგრამ მის ოდენობასთან დაკავშირებით, ბიზნესის მხრიდან გამოითქვა შენიშვნა. თამარ გაბუნიას განცხადებით, ჯარიმას აქვს პრევენციული ხასიათი და იგი მეწარმის დასჯის მექანიზმი არ არის.

ჯანდაცვის კომიტეტის წევრებს შორის, კამათი მოჰყვა სანქციის დაუყოვნებლივ დაწესების საკითხს, უშუალოდ, მარეგულირებლის გადაწყვეტილებით, სასამართლოს გარეშე. გამოითქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა, ამან ბიზნესის საქმიანობის თავისუფლება და ავტონომიურობა შეზღუდოს, რის გამოც სასამართლოს როლი ამ პროცესში შესუსტდება. საბოლოოდ, პრინციპების დონეზე, კომიტეტის წევრებმა კანონპროექტს მხარი დაუჭირეს, მაგრამ აღნიშნეს, რომ ამ საკითხებზე მსჯელობა მომავალშიც გაგრძელდება.

5 წლის ბავშვის გარდაცვალება – რა მოხდა რეალურად კახეთში სამი თვის წინ და რას ითხოვს გარდაცვლილის ოჯახი

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროში, 5 წლის ბიჭის გარდაცვალების საქმეზე დაკავებულ ვანო წიკლაურს სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ 4-წლიანი სასჯელი შეუფარდა, საიდანაც 2 წელსა და 8 თვეს საპატიმროში მოიხდის, წელიწადი და 4 თვე კი პირობითი მსჯავრი განესაზღვრა. სისხლის სამართლის საქმეს მოსამართლეები – გიორგი ბუხრაშვილი და ლიკა ბოკერია განიხილავდნენ, განაჩენი კი წინა კვირას, მოსამართლე ლიკა ბოკერიამ გამოაცხადა. დაკავებულისთვის წარდგენილი ბრალი 4-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა, თუმცა სასამართლომ მინიმალური სასჯელი გამოიყენა.

„საკანში, ყოველდღე, გარდაცვლილის სულისთვის ლოცულობს“ – რა წერია ექსპერტიზის დასკვნაში

მიმდინარე წლის 4 სექტემბერს, დედოფლისწყაროს სოფელ ზემო ქედში, მიდელაშვილების ოჯახში ლანჩხუთიდან სტუმრად მყოფი 5 წლის დათა ფირცხალაიშვილი ავტოსაგზაო შემთვევას ემსხვერპლა. გამოძიების მიხედვით, ბავშვი გზის სავალ ნაწილზე გადავიდა, „ოპელის“ მძღოლმა კი რეაგირება ვერ მოასწრო და მოზარდის სიცოცხლე იმსხვერპლა. დაზარალებული მხარე საპირისპიროს ამტკიცებს, რომ ბავშვი არსად გადასულა და ტროტუარზე იდგა. გარდაცვლილის ოჯახი განაჩენს არ ეთანხმება და ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრებას გეგმავს. ისინი არცერთ სხდომას არ დასწრებიან და ამ დრომდე, არც ადვოკატი აუყვანიათ. „ვერსიასთან“ საუბრისას, ფირცხალაიშვილები ამბობენ, რომ სასამართლო სხდომების თარიღის შესახებ მათთვის არავის უნობებია, მხოლოდ განაჩენი შეატყობინეს. დაკავებულის ოჯახი კი აღნიშნავს, რომ ბავშვი მარჯვენა მხრიდან გამოიქცა, მიდელაშვილების სახლი მარცხნივაა, შეჯახებაც მარჯვენა კუთხით მოხდა. ამდენად, ისინი კითხვას სვამენ, თუ არსად გადასულა ბავშვი, როგორ აღმოჩნდა მეორე მხარეს?

„ვერსიამ“ ყველა მხარის პოზიცია მოისმინა და ექსპერტიზის დასკვნებსა და საგამოძიებო დოკუმენტებშიც ექსკლუზიურად ჩაიხედა.

შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის კახეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის კომპლექსური ტრასოლოგიური და ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნაში, რომელსაც ხელს მთავარი ექსპერტი არჩილ ღვინიაშვილი აწერს, ნათქვამია:

„ექსპერტიზაზე წარმოდგენილი საქმის მასალების მიხედვით, დადგენილია, რომ 4 სექტემბერს, 19.20 საათზე, ზემო ქედში, არხილოსკალოს მიმართულებით, მოძრაობდა „ოპელი“, რომელსაც ვანო წიკლაური მართავდა. იმავე დროს, მისგან მარჯვნიდან მარცხნივ, სავალი ნაწილის გვერდულზე გაჩერებული ავტომობილის უკანა მხრიდან საავტომობილო გზას სწრაფი სირბილით კვეთდა ქვეითი დავით ფირცხალაიშვილი, რომელიც გადმოვიდა სავალ ნაწილზე და სავალი ნაწილის დაახლოებით შუაში გაჩერდა. ამის დანახვაზე მძღოლმა იხმარა მუხრუჭი, საჭე მიმართა მარცხნივ, მაგრამ ქვეითთან შეჯახება ვერ აიცილა. როცა ქვეითი სავალ ნაწილზე გაჩერდა, შეჯახებამდე, დაახლოებით, 3 წამის განმავლობაში იდგა. ძრავის სახურავის მარჯვენა უკანა ნაწილში აღენიშნება დაზიანების კვალი, დაზიანებულია ბამპერის მარჯვენა ნაწილი და მარჯვენა წინა მაშუქი. ხასიათიდან გამომდინარე, გამოწვეულია რაიმე რბილი საგნის ზემოქმედებით, ეს შეიძლება იყოს ადამიანის სხეულიც.

შემთხვევის ადგილზე გზის სიგანეა 6.9 მეტრი, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ არის ორი პარალელური მუხრუჭის კვალი, მისი სიგრძეა 10.7 მეტრი. ვანგარიშობთ, რა სიჩქარით მოძრაობდა ავტომობილი, რომელმაც დატოვა 64.9 მეტრი მუხრუჭის კვალი. მივიღებთ, რომ მუხრუჭის კვალის მიხედვით, „ოპელი“ მოძრაობდა 110 კმ/სთ სიჩქარით. ქვეითი გზაზე გაჩერებულ ავტომანქანის უკან მოძრაობდა, ამდენად, მძღოლის მხედველობის არეში სწრაფი სირბილით სავალ ნაწილზე გაჩერებამდე გაირბენდა, დაახლოებით, 4.3 მეტრ მანძილს.

თუ მძღოლი მოძრაობს 60 კმ/სთ სიჩქარით, გასაჩერებლად სჭირდება 3.6 წამი, ხოლო ქვეითი საფრთხის წარმოქმნიდან შეჯახებამდე სავალ ნაწილზე იმყოფებოდა, დაახლოებით, 4.4 წამის განმავლობაში. მოცემულ შემთხვევაში, ტექნიკური თვალსაზრისით, მძღოლს მომხდარი საგზაო შემთხვევის აცილება შეეძლო. ვანო წიკლაურის მოქმედება არ შეესაბამება საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მუხლი 33, პუნქტი 1-ის მოთხოვნებს, რომელთა დაცვის შემთხვევაში, ეს შემთხვევა შეუძლებელი იქნებოდა. ამ მუხლით, მძღოლს ეკრძალება სატრანსპორტო საშუალების მართვა სიჩქარის გადაჭარბებით. სიჩქარე მძღოლს საშუალებას უნდა აძლევდეს, მუდმივად აკონტროლოს ტრანსპორტი ისე, რომ მოძრაობის უსაფრთხოება დაცული იყოს. „ოპელის“ საჭის მართვის მექანიზმი და სამუხრუჭე სისტემა გამართულია“.

შემთხვევის ადგილი დაათვალიერა შსს დედოფლისწყაროს სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელმა კახა კორახაშვილმა, ასევე, მონაწილეობდნენ ექსპერტები – ზაქარია ლაზარიაშვილი და გელა ფრიდონაშვილი. საქმეს შს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი ვლადიმერ შალვაშვილი იძიებდა.

თეონა კილაძე (ბავშვის დედის ჩვენებიდან): „სექტემბრის თვეში, სტუმრად ვიმყოფებოდით ნათესავებთან. 4 სექტემბერს, გარეთ, ქუჩაში, ტროტუარზე იმყოფებოდა ჩემი შვილი – 23.02.2017 წელს დაბადებული დავით ფირცხალაიშვილი, რა დროსაც მას დაეჯახა ვანო წიკლაური, მისი მანქანით. მიყენებული დაზიანებებით, ჩემი შვილი გარდაიცვალა ზემო ქედის ამბულატორიაში. მოგახსენებთ, რომ მე პრეტენზია გამაჩნია ვანო წიკლაურის მიმართ და ვითხოვ გამოყენებულ იქნეს უმკაცრესი ზომები და დაისაჯოს კანონის შესაბამისად“.

ანა მიდელაშვილი: „ლანჩხუთიდან ჩენი ნათესავები კვირაზე მეტი ხნის ჩამოსული იყვნენ ზემო ქედში, ჩვენთან ცხოვრობდნენ. სოფელში ეკლესიას ვაშენებთ, გარდაცვლილი ბავშვის პაპა მშენებელია, მამაც. ტაძრის გადახურვის სამუშაოებში გვეხმარებოდნენ, მუშებიც მათ ჩამოჰყავდათ ხოლმე და ახლაც ამ მიზნით ჩამოვიდნენ. იმ დღესაც ისინი მშენებლობაზე იყვნენ, დანარჩენები სახლში ვიყავით. საღამოს დათა ტიროდა, გარეთ ბავშებთან გაყვანას ითხოვდა, მაგრამ დედა არ უშვებდა. არ გაჩერდა და ბოლოს, მამაჩემმა მოკიდა ხელი და გაიყვანა. იქვე, ცემენტის მანქანა მუშაობდა მეზობლის ეზოში და მამამ იფიქრა, ტაძრისთვის შევუთანხმდებიო, სულ ორი წუთით გავიდა და ამ დროს დატრიალდა ეს უბედურება. მე ქუჩის კართან ვიდექი, ბავშვის დედა, ჩვილით ხელში, ქუჩის გარეთ იდგა, თან ვსაუბრობდით და თან დათას ყურადღებას აქცევდა. რომ ამბობენ, უყურადღებოდ მიატოვესო, სიცრუეა. დაახლოებით, 50 მეტრში ვიდექით. ოთხი-ხუთი ბავშვი

5 წლის ბავშვის გარდაცვალება – რა მოხდა რეალურად კახეთში სამი თვის წინ და რას ითხოვს გარდაცვლილის ოჯახი

მესერთან თამაშობდა. ველოსიპედი, ან ასეთი რამ არ ჰქონიათ, ისე თამაშობდნენ. ამ დროს, დიდი სისწრაფით გაიარა ამ მანქანამ, „ეს ვიღაცას გაიტანსო“, დედამისმა თქვა, მაგრამ ვერც დაასრულა, რომ შეჯახების ხმა გავიგეთ. ატყდა ყვირილი, მანქანა მობრუნდა, თავადვე წაიყვანა ექიმთან და ჩვენ სხვა მანქანით გავყევით უკან. ექიმი ადგილზე იყო, დავინახე, მძღოლმა როგორ გადააწოდა ბავშვი ექიმს. უგონოდ იყო, არც თვალი გაუხელია. ბევრი ეცადა, ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ვერ უშველა. სხვა სასწრაფო ჯგუფიც მოვიდა, თუმცა ამაოდ. დედოფლისწყაროშიც აღარ გადაუყვანიათ. რაც მე დავინახე, ბავშვს მუცლის არეში ჰქონდა დალურჯებები, შუბლთან, ყურთან და კისერთან ტრავმა, კიდურებიც დაყვლეფილი. გაკვირვებული ვართ ექსპერტიზის დასკვნით და სასამართლო განხილვებით. ჩვენი მხარე არ ყოფილა ჩართული არც გამოძიებაში, არც სასამართლო განხილვაში. როცა დასკვნაში წერენ, ბავშვმა გადაირბინაო, ეს ჩვენთვის გაუგებარია. ხაზგასმით ვამბობთ, რომ ბავშვი ტროტუარიდან არცერთი ნაბიჯით არ გადმოსულა გზაზე. დათა იდგა და არსად გადარბენას არ გეგმავდა, ზოგადად, ზორბა ბავშვი იყო და ასე ვერ გადაირბენდა. მანქანა იმაზე სწრაფად მოდიოდა, ვიდრე ნათქვამია. ეს ისეთი ადგილია, ბევრი ბავშვი ცხოვრობს და ამ სისწრაფით სიარული არ შეიძლება, თუ ფხიზელი იყო, ვერ ამომიხსნია, რატომ მიდიოდა ასე. დამნაშავე მხოლოდ მაშინ დავინახე, როცა ექიმს ბავშვი მიუყვანა, თუმცა არ შემიძლია ვთქვა, ფხიზელი იყო თუ არა. დათა არასოდეს ქუჩაში მარტო არ გასულა და უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია. ზოგადად, თეონა ძალიან ყურადღებიანია, გიჟი დედაააო რომ იტყვიან, ასეთია“.

ნოდარ ყველაიძე (თვითმხილველის ჩვენება): „ვანომ გამომიარა, ამავე სოფელში, ბებიასთან მიდიოდა, მითხრა, გოჭის ყიდვა რომ გინდოდა, წამოდი, მას ჰყავსო. მურთაზ სუარიძის მაღაზიაში იყიდა საკვები და წავედით. მე უკან ვიჯექი, წინ მერაბ ილურიძე. არც ისე სწრაფად ვმოძრაობდით. სპიდომეტრისთვის არ დამიხედავს, მაგრამ არც ნელა ვმოძრაობდით, არც სწრაფად. როცა მივუახლოვდით შმაგი გავაშელიშვილის სახლს, საშუალო სიჩქარით, დაახლოებით, 50-60 კმ/სთ-ით ვმოძრაობდით. მარჯვნივ დავინახე გავაშელიშვილის კუთვნილი „გაზელი“ იდგა ცხვირით დასავლეთით ანუ ჩვენსკენ. ჩვენ ვმოძრაობდით ჩვენს ზოლში, მარჯვნივ. უცებ მერაბმა დაიყვირა, „ნელა, ბავშვიო“. მეც მომენტალურად დავინახე, რომ გაჩერებული, საბარგულიანი „გაზიკის“ უკანა მხრიდან, ორღობიდან გზაზე გამოიქცა პატარა ბიჭი. დაამუხრუჭა და საჭე მიმართა მარცხენა მხარეს, მაგრამ ვერ ააცილა. ბავშვი დაეცა, მართვადაკარგულმა მანქანამ სვლა გააგრძელა, ავარდა ბორდიურზე. გადმოვედით მაშინვე, ჩვენ დაგვტოვა და ბავშვი წინა სავარძელზე დააწვინა, იქნებ, რამე ვუშველოო და ზემო ქედის მიმართულებით, დასავლეთისკენ წავიდა. ეს ბავშვი არ მყავდა ნანახი და ვერ ვიცნობდი. როცა ბავშვი დავინახე, მასსა და მანქანას შორის მანძილი იყო, დაახლოებით, 15-20 მეტრი. რომ დაამუხრუჭა, ბავშვი გამოიქცა გვერდულად, ირიბად და გარბოდა ჩიხიდან გამოსასვლელიდან მარჯვენა მხარეს. ბავშვი ჩვენსკენ კი არ გამოიქცა, გზაზე გამოსვლისას, ირიბად გადმოკვეთა გზა და გაიქცა ჩვენივე თანხვედრი მიმართულებით. დამატებით გიპასუხებთ, რომ ბავშვი შეჯახების მომენტში იმყოფებოდა გზის სავალი ნაწილის შუა ადგილას. გზის ნაწილი, რაც გაიარა, გაიარა სწრაფი სირბილით. იმ დროს არ მოძრაობდა არც სხვა ავტომობილი, არც პირუტყვი, ან ცხოველი. შეჯახების დროს ნათელი იყო და ფარები არ გვჭირდებოდა. უცნობია ჩემთვის, იყო თუ არა ნასვამი ვანო, ერთად არ დაგვილევია და არც რამე უთქვამს ამაზე“.

დაკავებულის ადვოკატის მტკიცებით, გზის ამ მონაკვეთზე დაშვებულია 60 კმ-სთ სიჩქარით მოძრაობა,

თუმცა „ოპელის“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც ვანო წიკლაური მართავდა, 80 კმ/სთ-ის სიჩქარით მოძრაობდა. დაკავებულ მძღოლს ორი მცირეწლოვანი შვილი და რვა თვის ორსული მეუღლე ჰყავს. წიკლაურების ოჯახში ამბობენ, რომ გაღიზიანებულმა ახლობლებმა მათი კუთვნილი ავტომანქანა მიზანმიმართულად დააზიანეს და შუშები ჩაამტვრიეს. მათი მტკიცებით, ავტომანქანაში იყო კომპანია „მაგთის“ ჯიპიესი, სადაც მძღოლი მუშაობდა და ავტომანქანის გადაადგილებაც და სისწრაფეც მასზეა ასახული.

ეკატერინე მაჭარაშვილი (დაკავებულის ადვოკატი): „არ ვასაჩივრებთ მოსამართლის გადაწყვეტილებას. ბრალდებულის პოზიცია პირველივე წუთებიდან ასეთი იყო, რომ თავს გრძნობდა დამნაშავედ, თავად ჩაბარდა პოლიციას, მომხდარს აღიარებდა, ამდენად, ჩვენს მხარეს არ აქვს სურვილი, გადაწყვეტილება გასაჩივრდეს, თუ ეს პროკურატურამ არ გაასაჩივრა ზემდგომ ინსტანციაში.

– ოჯახი, სადაც მოზარდი სტუმრად იმყოფებოდა, ამტკიცებდა, რომ მძღოლი ფხიზელი არ იყო, რამდენად დროულად ჩატარდა სიფხიზლის ექსპერტიზა?

– ვანო წიკლაურს დაკავებისთანავე ჩაუტარდა ალკოტესტი სიმთვრალეზე, თუმცა ვინაიდან ეს უტყუარი არ არის, აუცილებელი გახდა ქიმიური ექსპერტიზის ჩატარებაც. ეს კვლევა მაღალი სიზუსტით გვაძლევს მონაცემებს, აღინიშნება თუ არა სისხლში ალკოჰოლური, ან ნარკოტიკული თრობა. დასკვნის მიხედვით დადასტურდა, რომ არანაირი თრობა დაკავებულს იმ მომენტში არ აღენიშნებოდა. ამიტომაც, მას წარდგენილი აქვს შემამსუბუქებელ გარემოებებთან შესაბამისი მუხლი, რომელიც 4-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. თრობის დაფიქსირების შემთვევაში, დამამძიმებელი გარემოების გამო, 6-დან 9 წლამდე პატიმრობა დაემუქრებოდა.

– უშუალოდ ტრაგედიაზე ვისაუბროთ, როგორ მოხდა შეჯახება და რატომ ვერ მოასწრო ამ შედეგის თავიდან არიდება?

– საღამოს საათებში, საკუთარი ავტომობილით მიდიოდა ბებიასთან, რომელიც ცალკე ცხოვრობს. კარგი ხილვადობა და გზაზე თავისუფალი მოძრაობა იყო. გზის ერთ მონაკვეთზე, რამდენიმე თვის განმავლობაში, ხანგრძლივად გაჩერებული იყო ე.წ. „მარშრუტკა“, სწორედ ამის გამო ვერ შენიშნა ბავშვი. მარჯვნიდან მოულოდნელად გამოვარდა მცირეწლოვანი, ვერ მოასწრო ვერანაირი მანევრის გაკეთება. საჭე მარცხნივ მიმართა, სხვა ზოლში გადავიდა, გამოიყენა მუხრუჭიც, მაგრამ შეჯახება მაინც ვერ აირიდა. ცოტა დრო ჰქონდა რეაგირებისთვის და მარჯვენა კუთხით შეეჯახა. რომ არ ყოფილიყო მცირეწლოვანი, შესაძლოა, უფროს ასაკში ასეთი საბედისწერო არ ყოფილიყო. საქმის მასალების მიხედვით არ ჩანს, ბავშვი მარტო იმყოფებოდა თუ არა, მანამდე სხვა მოზარდმა გადაკვეთა თუ არა გზა. საქმეში არსებობს მხოლოდ გამოძიების მიერ შედგენილი ნახაზი, სად მოხდა შეჯახება, სად გამოიყენა მუხრუჭი, სად იყო ბავშვი და სად – გაჩერებული სამარშრუტო ავტომობილი.

– რა შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები გამოიკვეთა სასამართლო სხდომებზე?

– ვინაიდან ბრალდებული პირველივე წუთიდან თავს დამნაშავედ ცნობდა, ინანიებდა მომხდარს, შეჯახების შემდეგ ბავშვი თავად აიყვანა, საავადმყოფოშიც თავად წაიყვანა. ცხადია, ეს არის შემამსუბუქებელი გარემოება. საკანში ყოველდღიურად ლოცულობს გარდაცვლილის სულისთვის. უჭირს ჭამა და ძილი, შეექმნა ფსიქოლოგიური პრობლემები. პენიტენციურ დაწესებულებაში ხშირად დასჭირდა მკურნალობის კურსის გავლა. ამის მიუხედავად, მან კატეგორიულად ამიკრძალა, ყურადღება მის მდგომარეობაზე გამემახვილებინა, ან რამე დასკვნა მომეთხოვა. სასამართლო სხდომაზეც მან პირდაპირ თქვა, რომ ეს მისი ჯვარია, ასევე, მისი ტრაგედიაა, აღარ აქვს მნიშვნელობა, რა შეეძლო გაეკეთებინა და რა მოახერხა. ბავშვია გარდაცვლილი და აქ დამთავრდა ყველაფერი.

ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირად მიმუშავია ავტოსაგზაო შემთხვევებზე და გადარჩენის ინსტიქტია, როცა მძღოლები შემთხვევის ადგილიდან მიიმალებიან. ამ შემთხვევაში, ასე არ მომხდარა და პირიქით, თავად უზრუნველყო, დაშავებული სამედიცინო პუნქტამდე მიეყვანა. კანონშიც მკაფიოდ წერია, რომ აღიარება, მონანიება, გამოძიებასთან თანამშრომლობა შემამსუბუქებელი გარემოებებია. ასევე, არ დაფიქსირდა არანაირი სახის თრობა, ამიტომაც სასამართლომ კანონით გათვალისწინებული შეღავათი გასწია და მის მიმართ გამოიყენა სასჯელის მინიმალური ზომა.

– თვითმხილველების ჩვენებები თუ დევს საქმეში, რას ჰყვებიან მოწმეები?

– მძღოლთან ერთად, იმავე ავტომანქანაში ისხდნენ კიდევ მისი ორი მეგობარი, სხვა პირდაპირი მოწმე ამ საქმეს არ ჰყავს. როგორც ისინი აღწერენ, ცოტა ქვემოთ, მოქალაქეები ქუჩაში იყვნენ, თუმცა ისინი მომხდარს კარგად ვერ დაინახავდნენ, ამიტომაც ირიბ მოწმეებად ითვლებიან. საქმეში არ არსებობს სხვა პირდაპირი მოწმე, მგზავრების გარდა. არსებობდა ნახაზი, მუხრუჭის კვალი, ამ მასალებზე დაყრდნობით იმსჯელა გამოძიებამ.

არანაირი კომუნიკაცია დაზარალებულ მხარესთან არ გვქონია. დაკავებულის ოჯახი შეეცადა სამძიმარზე მისულიყვნენ, მაგრამ არ ისურვეს და ვერ მოხერხდა. ოჯახი ითხოვდა მკაცრად დასჯილიყო მძღოლი. აბსოლუტურად გვესმის მათი ტკივილი და მეც და მსჯავრდებულსაც გვინდა მკაფიოდ დავაფიქსიროთ, რომ მთელი გულით ვწუხვართ და სამძიმარს ვუცხადებთ, გამძლეობას ვუსურვებთ მათ. მინდა, ოჯახმა იცოდეს, რომ საკანში ყოველდღე ლოცულობს გარდაცვლილის სულისთვის და უზომოდ განიცდის ამ ტრაგედიას. მისთვისაც მძიმეა ეს, მაგრამ რაც მას არ ჩაუდენია, იმას ნუ მივაწერთ, რაშიც დამნაშავეა, ამაზე პასუხისმგებლობას არ გაურბის. უბედური შემთხვევისგან კი არავინაა დაზღვეული“.

გასაჩივრების შემთხვევაში, ზემდგომ ინსტანციას შეუძლია, სიღნაღის სასამართლოს განაჩენი გააუქმოს, საქმის განხილვა ხელახლა დაიწყოს, ან უცვლელად ძალაში დატოვოს.

მაკა რუხაძე

საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვა აჭარის საბიუჯეტო ორგანიზაციებში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა – რა დარღვევები გამოვლინდა აჭარის სხვადასხვა სამინისტროებში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აჭარის საბიუჯეტო ორგანიზაციები შეამოწმა. ნაერთი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2021 წლის პერიოდს მოიცავს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროებისა და მათ დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების – სსიპ შემოწმებისას, დარღვევები გამოვლინდა მიმდინარე დავალიანებებში, არაფინანსურ აქტივებში, ინვენტარიზაციასა და შრომით ანაზღაურებაში.

დარღვევები მიმდინარე დავალიანებებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება 2 880 788 441 ლარის ღირებულების აქტივები და 28 642 717 ლარის ვალდებულებები, მათ შორის, მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები შეადგენს 110 264 120 ლარს, საიდანაც ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება 60 394 025 ლარის მოთხოვნები. ამ მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების დაფარვის ალბათობა დაბალია. ეს მოთხოვნები წარმოადგენს სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ ფიზიკურ პირზე სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად დაკისრებულ თანხებს, რომლებზეც უშედეგოდ მიმდინარეობს სააღსრულებო საქმის წარმოება.

„განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „აჭარის მუზეუმის“ ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება 106 463 ლარის მოთხოვნები, რომელთა დაფარვის ალბათობა დაბალია, რადგან უშედეგოდ მიმდინარეობს სააღსრულებო საქმის წარმოება და მოვალე ფიზიკური იურიდიული პირი შეყვანილია მოვალეთა რეესტრში. დარღვევის მიზეზია ინვენტარიზაციის ჩაუტარებლობა, მოთხოვნების დაფარვის ალბათობის შეუფასებლობა. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ირიცხება გრძელვადიანი ფინანსური აქტივები – 294 596 748 ლარის ოდენობით, საიდანაც 276 910 462 ლარი აღრიცხულია ანგარიშზე „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“. ეს თანხა წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში განხორციელებულ ფულად-ქონებრივ შენატანებს, რომლებიც განხორციელებულია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატების მიერ, შესაბამისად, 275 486 150 ლარის და 1 424 312 ლარის ოდენობით“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მართვაში არსებული 28 საწარმოდან, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10 საწარმოში (საბალანსო ღირებულება – 20 691 561 ლარი) მიმდინარეობს ან/და დასრულდა გადახდისუუნარობის-გაკოტრების საქმის წარმოება. ამჟამად, რვა მათგანი იმყოფება გაკოტრების რეჟიმში და მათი აქტივების ღირებულება გადახდისუუნარობის-გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების მომენტისთვისაც კი, არსებითად ნაკლები იყო ვალდებულებების მოცულობაზე. აღსანიშნავია, რომ ინვენტარიზაციის დროს, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საინვენტარიზაციო კომისიას არ უმსჯელია აქტივების შესაძლო გაუფასურებაზე.

ხარვეზები არაფინანსურ აქტივებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად, ხარვეზები გამოვლინდა არაფინანსურ აქტივებშიც. კერძოდ, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ ნაშთი, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 1 677 277 604 ლარს, საიდანაც 96% – ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის აქტივებია. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ არის ასახული საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებას, სარგებლობაში პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა და არ არის შეფასებული.

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში არ არის დაცული სტანდარტის მოთხოვნები იჯარის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, საოპერაციო იჯარით გაცემული ქონება „საინვესტიციო ქონებად“ არ არის აღრიცხული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ხოლო ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის მოცემული განმარტებით შენიშვნებში. გარდა ამისა, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში, „დაუმთავრებელი მშენებლობის“ ანგარიშზე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასახულია 542 800 ლარის ღირებულების დაუმთავრებელი აქტივი, რომელზეც 2018 წლიდან ბრუნვა არ ყოფილა. აღნიშნული აქტივი წარმოადგენს 2018 წელს შესრულებული საპროექტო სამუშაოს ღირებულებას, რომლის სამომავლო გამოყენების გეგმა სამინისტროს არ აქვს.

აქედან გამომდინარე, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ბალანსზე ასახული „სხვა არაფინანსური აქტივების“ ნაშთი, შესაძლოა, მოიცავდეს ისეთ დაუმთავრებელ აქტივებს, საიდანაც მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება ნაკლებსავარაუდოა და რაც საჭიროებს დამატებით კვლევას. შესაბამისად, შესაძლოა, ისინი არაკმაყოფილებდნენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დარღვევები ინვენტარიზაციაში

ინვენტარიზაცია წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე, განმარტებით შენიშვნებში ან საცნობარო ანგარიშებზე ასახული არასაბალანსო კატეგორიების ფაქტობრივი ნაშთების შედარებას ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებთან. ინვენტარიზაცია კონტროლის მექანიზმია, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება რეალურად არსებობს და ამასთან, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა აქტივი სრულადაა ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ინვენტარიზაციის სრულყოფილად განხორციელება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისთვის, აქტივების ეფექტიანი განკარგვისა და შიდა კონტროლის გასაუმჯობესებლად.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების შერჩევითი ინვენტარიზაციის შედეგად, გამოვლინდა 32 197 251 ლარის ღირებულების მიწა და შენობა– ნაგებობები, რომლებიც 2021 წლის 31 დეკემბრამდე, პრივატიზებულია ან გადაცემულია უვადო სარგებლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული აქტივები არ უნდა ირიცხებოდეს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. აღსანიშნავია, რომ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს არ ჩაუტარებია იმ უძრავი ქონების ინვენტარიზაცია, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებას.

დარღვევები შრომის ანაზღაურებაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების დარიცხულმა სახელფასო ხარჯმა შეადგინა 52 539 916 ლარი, საიდანაც საშტატო ნუსხით განსაზღვრული პირების „შრომის ანაზღაურების“ ხარჯია 38 484 218 ლარი, ხოლო შტატგარეშეთა ანაზღაურების ხარჯი – 14 055 697 ლარი. 2020 წელთან შედარებით, 2021 წელს, საბიუჯეტო ორგანიზაციების ჯამური სახელფასო ხარჯები გაზრდილია 2 299 161 ლარით. ხარჯების ზრდა დაკავშირებულია შტატგარეშეთა ანაზღაურების ხარჯების ზრდასთან.

გარდა ამისა, საბიუჯეტო ორგანიზაციებს ერიცხებათ მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ, რომლის ამოღებაზე ეფექტიანი ღონისძიებები არ განხორციელებულა. საბიუჯეტო ორგანიზაციების შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადება და წასვლა აღირიცხება სპეციალური ტექნიკური საშუალების – ტურნიკეტის გამოყენებით. სისტემა კონტროლის მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს დადასტურდეს თანამშრომელთა სამსახურში ყოფნა და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება.

„2021 წელს, ხელფასის დარიცხვის მიზნით შევსებული სამუშაო დროის ტაბელის მონაცემები განსხვავდება ტურნიკეტზე დაფიქსირებულისგან. მოპოვებული ინფორმაციით, აღნიშნულის მიზეზია COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა. სწორედ კორონავირუსის გამო, თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება შესაძლებელი გახდა, როგორც დისტანციურად, ასევე, შემცირებული სამუშაო დროით. აღსანიშნავია, რომ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდშიც, მხოლოდ რამდენიმე საბიუჯეტო ორგანიზაციას გააჩნდა აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემა, რაც შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს და საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი განკარგვის რისკებს წარმოშობს“.

სამართალი

№47 30 ნოემბერი 2022 წ

19 წლის გოგო 500 დოლარისთვის წამებით მოკლეს

ვინ იპოვა გვამი და როგორ გავიდა გამოძიება მკვლელზე

ბათო ჯაფარიძე

ბოლო დროს, ქალების მიმართ ძალადობა გახშირდა. პრინციპში, რაღა ბოლო დროს, უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში, ისეთი ამბები გავიგეთ, რომლის გააზრებაც კი ძნელია. ვერ გეტყვით, რის გამო ხდება ასე, რამ გააბოროტა ადამიანები, მაგრამ ფაქტია – ყოველდღიურად გვესმის უსასტიკესი დანაშაულების შესახებ და ამას ჩვენი თანამოქალაქეები სჩადიან, ადამიანები, რომლებსაც მშობლებიც ჰყავთ, ცოლ-შვილიც, თითქოს, ნორმალური სამეგობრო წრეც და ბოლოს, ყველა მხრებს იჩეჩავს, ასეთი არ მეგონაო. გამოჩდნენ ისეთებიც, რომლებიც ყველაფერ ამას კორონავირუსს აბრალებენ, აქაოდა, ეს სიბოროტე, სწორედ კორონამ დაუტოვა ადამიანებსო, რაც ძალიან ჰგავს შეთქმულების თეორიას. ისე არ გაიგოთ, თითქოს, ადრე ასეთი ამბები არ ხდებოდა. შეიძლება უარესებიც ხდებოდა, მაგრამ არ ახმაურებდნენ, მალავდნენ, მაშინ არც ასეთი აჩქარებული იყო დრო და არც ის შეგეძლო, ინტერნეტით გასცნობოდი ყველაფერს და მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად ცხოვრობდი. ახლა კი...

90-იანი წლების გარიჟრაჟზე, მაშინ, როცა სიმართლის დასამტკიცებლად „კალაშნიკოვი“ და ერთი მჭიდი იყო საკმარისი, ადამიანები გადარჩენისთვის იბრძოდნენ. ასე მგონია, რომ სწორედ მაშინ შევეჩვიეთ სიკვდილს, სწორედ მაშინ დაიკლო სიცოცხლის ფასმა, გაუფასურდა სიცოცხლე და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებმა ხომ საერთოდ, ახალგაზრდა, უწვერ-ულვაშო ბიჭების სიკვდილს შეგვაჩვია. იმ ბიჭებისა, რომლებიც მკერდს ალალად უშვერდნენ მტრის ტყვიას და მზად იყვნენ, მომკვდარიყვნენ სამშობლოსთვის, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, მათ ხელში დაიბადა და მოვლა სჭირდებოდა. სწორედ იმ პერიოდში, თბილისის გარეუბანში, ხის ტოტებისა და მუყაოს ყუთების გროვის ქვეშ, გამვლელმა გოგონამ ხელი შენიშნა და მაშინვე მილიცია გამოიძახა. როგორც მაშინ ხდებოდა, გოგოს თავში წაუთაქეს, შენ მოკლავდიო, მაგრამ მან ტირილი დაიწყო, არც კი ვიცი, ვინ არის, როგორ მოვკლავდიო? ის იყო, გვამი საკაცეზე დაასვენეს, რომ გოგონამ დაიკივლა, ჩემი თანაკლასელი ყოფილაო და ახლა ორჯერ მეტად წაუთაქეს, უეჭველად შენ მოკლავდი, თანაკლასელებს შორის კამათი და ჩხუბი ხშირიაო. მოკლედ, გოგონა დააკავეს...

„მომხდარის დროს, შვებულებაში ვიყავი და მეორე დღესვე გამოვედი. შევდივარ ოთახში და რას ვხედავ? უზით პატარა გოგო წინ და ხან ერთი მხრიდან წაუთაქებენ თავში, ხან – მეორედან, მკვლელობა აღიარე და გაგიშვებთო. ტყუილსაც ხომ ნიჭი უნდა, არა? ამას ეუბნებიან, მკვლელობა გვიღიარე და გაგიშვებთო“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გამოცდილი გამომძიებლის დანახვისთანავე, ახალბედებმა ოთახი დატოვეს და გოგონაც მას შეატოვეს. ატირებული ბავშვი, მშვიდი სახის დანახვაზე, თავადაც დამშვიდდა – აღარავინ უყვიროდა, აღარავინ ურტყამდა. გამომძიებელმა გოგონას თავზე ხელი გადაუსვა და მშვიდად უთხრა, ახლა მომიყევი, რა მოხდა და აქ რა გინდაო.

გოგონამაც დაიწყო: „იმ ადგილზე, სადაც მივდიოდი, ყოველთვის არის ვიღაც, ამ ცხოვრებაზე გაბრაზებული თინეიჯერები. მე 19 წლის ვარ, სკოლა სამი წლის წინ დავამთავრე, მაგრამ სახლში მაინც, როგორც ბავშვს, ისე მექცევიან. დედაჩემს ვეკამათე და გაბრაზებული იმ ადგილზე წავედი, სადაც ყოველთვის შეიძლება შენნაირი, შენიანი ნახო და პრობლემებზე ესაუბრო. მივედი და ნაგვის გროვის ქვეშ, ვიღაცის ხელი დავინახე. მილიციას დავუძახე, ისინი კიდევ მეუბნებიან, შენ მოკალი და აღიარეო. თანაც, გარდაცვლილი ვიცანი, ჩემი თანაკლასელი იყო, მაღაზია აქვთ მაგის მშობლებს, იქ მუშაობდა და რომ ვიცანი, საერთოდ გაგიჟდნენ, შენი მოკლული იქნებაო. მე მართლა არ მომიკლავს“.

გამომძიებელი კორიდორში გავიდა და კოლეგებს ჰკითხა, რამე მტკიცებულება გაქვთ თუ არაო და უარის მიღების შემდეგ, ისევ გოგონასთან შებრუნდა, ჩვენებაზე ხელი მოაწერინა და პირადად გააცილა განყოფილებიდან. გამოცდილი მაძებარი კარგად ხვდებოდა, რომ გოგონა მკვლელი არ იყო და საქმის გარშემო რამე რომ სცოდნოდა, განყოფილებაში ცოცხალი თავით არ დარეკავდა, დამალვას შეეცდებოდა. შემთხვევის ადილის დათვალიერებამ გამოძიებას ახალი არაფერი მისცა. ექსპერტიზის დასკვნით კი, გოგონა ძალიან მარტივად გაგუდეს, უკნიდან მიეპარნენ, თავზე პოლიეთილენის მყარი პარკი ჩამოაცვეს და გაგუდეს. მან ვერც დაყვირება მოასწრო და სავარაუდოდ, ვერც წინააღმდეგობის გაწევა, რადგან სუსტი აღნაგობის იყო, მკვლელი კი აშკარად მამაკაცი უნდა ყოფილიყო, რამეთუ გოგონა მყარად ეჭირა და პარკის ბოლოების გადაბმის ადგილზე, ბევრი ნაწვალები არ გახლდათ ანუ მისი ბოლოები მყარ ხელში იყო მოქცეული.

გამოძიებით ისიც დადგინდა, რომ გოგონას დედა და მამინაცვალი ზრდიდნენ. უფრო სწორად, ტანჯავდნენ, რადგან აიძულებდნენ, დილიდან საღამომდე მაღაზიაში ყოფილიყო, არა მარტო გამყიდველად ემუშავა, არამედ, მძიმე ყუთებიც ეთრია. როცა მამინაცვალს რამე არ მოეწონებოდა, არც სილის შემოკვრაზე ამბობდა უარს და ამის შემსწრე არაერთი მომხმარებელი გახლდათ, თუმცა შენიშვნას არავინ აძლევდა. მამინაცვალი დაკითხვაზე წაიყვანეს, თუმცა ალიბი ჰქონდა და თან ძალიან მყარი – მეგობრებთან ერთად, სათევზაოდ იყო წასული მთელი დღე, ის დრო მდინარის ნაპირზე გაატარა და ისე დათვრა, მეგობრებმა სახლამდე ხელით აიტანეს და ლოგინზე „დაასვენეს“. დედა ბევრს ტიროდა, ჩემი ერთადერთი ნათელი წერტილი იყო, ეს რა დაგვემართაო და ისიც თქვა, რომ გოგონას თავისი ფული ჰქონდა, რადგან დღის განმავლობაში, მაღაზიაში რამდენიმე ადამიანი რეკავდა, რომელიც მისვლას ვერ ახერხებდა, პროდუქტს უკვეთავდა და ის პროდუქტი გოგონას მიჰქონდა, სანაცვლოდ კი, პროდუქტის ღირებულების გარდა, ფეხის ქირასაც აძლევდნენ ანუ თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ერთგვარი კურიერი იყო. გაჩნდა ვერსია, რომ შესაძლოა, გოგონა, სწორედ იმ ფულის გამო მოკლეს და მერე რა, რომ თანხა დიდი არ იყო – იმ დროს ნაკლები თანხის გამოც იმეტებდნენ ერთმანეთს.

ექსპერტიზის დასკვნაში ისიც ეწერა, გოგონა ძალიან იაფფასიან კოსმეტიკას ხმარობდა და კანი ისე ჰქონდა გაღიზიანებული, სერიოზული მკურნალობა სჭირდებოდა, ინფექცია მთელ სხეულზე იყო მოდებულიო. დედამაც დაადასტურა, თავისი მეგობრისგან მოჰქონდა კოსმეტიკა, მაღაზიაშიც ყიდდა, მაღაზიის გარეშეც და ფულს აქედანაც შოულობდა, მაგრამ მე კოსმეტიკა არ მომეწონა, რამდენჯერაც მოვიხმარე, იმდენჯერ ცუდი რეაქცია მომცა და ეს იმის მიუხედავად, რომ საკმაოდ კარგ შუშებში იყო ჩასხმულიო. საჭირო იყო, კოსმეტიკის მიმწოდებელი ეპოვათ და მალე მიაგნეს კიდეც – ისიც ახალგაზრდა გოგონა, რომელიც ამბობდა, რომ კოსმეტიკა საფრანგეთიდან და იტალიიდან მოჰქონდა, რეალურად კი მასში კუსტარულად დამზადებული ნაგავი ესხა. ჰო, სწორედ რომ ნაგავი, ნამცხვრის ესენციებით დამზადებული, კარბიდის არაყზე დაყენებული სითხე, რომელიც ჯანმრთელობისთვის საშიში იყო. მეტიც, სითხე, რომლითაც გარდაცვლილი გახლდათ მოწამლული, მის სხეულში შეიყვანეს და დაარწმუნეს, წარბებს რომ ამოიქნი და ამ ნემსს გაიკეთებ, აღარ ამოგივაო. თავად კოსმეტიკის მიმწოდებელმა ხელები გაშალა, ჩემთან ეს ვიღაც ფრანგს მოაქვსო, „ვიღაც ფრანგი“ კი ლოტკინელი ბოშა აღმოჩნდა, რომელიც მას ბოშური აქცენტით, რაღაც იდიოტობებს ეუბნებოდა, ვითომ ფრანგულად.

„ყველაზე საინტერესო, რაც კოსმეტიკის გამსაღებელი გოგონას სახლში ვიპოვეთ, ზუსტად ისეთი მოცისფრო პოლიეთილენი იყო, რომლითაც გარდაცვლილი იყო გაგუდული. მეტიც, ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ცელოფნები იდენტური იყო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გოგონას ფრთხილად გამოჰკითხეს, ვინ დადიოდა მასთან სტუმრად, რა ურთიერთობა ჰქონდა გარდაცვლილთან და მანაც ყველაფერი ალალად თქვა. გარდაცვლილი ჩემი კოსმეტიკით მოიწამლა და მკურნალობისთვის 500 დოლარი მთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამპირდა, ყველას ეტყოდა, ჩემი კოსმეტიკა უვარგისი რომ იყო. არადა, ყველაზე კარგად, სწორედ ის ყიდდა ყველაფერს და გადავწყვიტე, გადამეხადა. ფულს ბანკში ვინახავ და 500 დოლარი გამოვიტანე კიდეც, მაგრამ იმ საღამოს არ მოვიდა ფულის წასაღებად, მეორე დღეს კი გავიგე, მოკლესო. გამოძიებამ გადაამოწმა და დაადგინა, რომ მან 500 დოლარი მართლაც გაიტანა ბანკიდან ანუ მზად იყო, გადაეხადა და მოკვლას არ აპირებდა. თანაც, ყველა ლოგიკით, მკვლელი კაცი იყო. კითხვაზე, ვინ იცოდა მათი დაპირისპირების შესახებ, გოგონამ თქვა, რომ მხოლოდ საქმროს უთხრა, „ფრანგ მომწოდებელთან“ კი, უბრალოდ, იწუწუნა, რომ უკეთესი ხარისხი იყო საჭირო ანუ მიმწოდებელმა არ იცოდა გოგონასა და 500 დოლარის ამბავი. საქმროს რაც შეეხება, ის წარსულში ნასამართლები პირი აღმოჩნდა. როცა დააკავეს, პრაქტიკულად, უგონოდ მთვრალი იყო და ყვირილი დაიწყო, მოვკალი, მაგრამ ახლა ვნანობო. გამოფხიზლებულზე კი...

„ვიცი, უარყოფას აზრი არ აქვს. მკვლელობა არ მინდოდა, ყველაფერი სპონტანურად მოხდა, შემთხვევით დავინახე, რომ იმ მიყრუებულ ადგილზე მოდიოდა და მაშინვე 500 დოლარი გამახსენდა, ეს თანხა ჩემს საცოლეს შერჩებოდა, თან უკვე დაქორწინებას ვაპირებდი და ინსტიქტურად, ჯიბეში პოლიეთილენიც მოვსინჯე, მერე კი რობოტივით ვმოქმედებდი. აზრზე როცა მოვედი, უკვე მკვდარი იყო, რა უნდა მექნა, ნაგავი მივაყარე, გავიქეცი და იმის მერე ვსვამ“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ მკვლელობისთვის 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და 13 წლით იმიტომ, რომ... მან გამოძიებასთან ითანამშრომლა.

ორმაგი მკვლელობა

რატომ გაწირეს ქართველმა ცოლ-ქმარმა სასიკვდილოდ ბელორუსი მდგმურები

ბათო ჯაფარიძე

ეს ახლაა, 2-3 მილიონიან პროექტებს მასშტაბურს რომ ვეძახით, თორემ იყო დრო, როცა ქვეყანა მილიარდიან პროექტებს ახორციელებდა და მის მშენებლობაში არა მარტო მთელი მოსახლეობა იყო ჩართული, არამედ, მუშა-ხელი სხვადასხვა მოძმე რესპუბლიკიდანაც ჩამოდიოდა. საუბარია ათეულობით ათას ადამიანზე და საკმარისია, თუნდაც ენგურჰესის მშენებლობა გავიხსენოთ, სადაც მართლაც ათეულ ათასობით ადამიანი იყო დასაქმებული, მათ შორის, საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკის, პრაქტიკულად, ყველა წარმომადგენელი. მათთვის სპეციალური კოტეჯები და საერთო საცხოვრებლები იყო აშენებული, სადაც მუშაობის პერიოდში ცხოვრობდნენ და ანაზღაურებაც იმაზე ბევრად მეტი ჰქონდათ, ვიდრე სამშობლოში იღებდნენ. სწორედ ენგურჰესის მშენებლობის დროს შეიქმნა არაერთი შერეული ოჯახი და სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ერთმანეთზე იქორწინეს. ცოდვა გამხელილი სჯობსო და, გრანდიოზული მშენებლობა 1961 წელს დაიწყო, რომელიც 1987 წელს დასრულდა. არავინ იცის, მშენებლობა კიდევ სამი-ოთხი წელი რომ გაგრძელებულიყო, საერთოდ დასრულდებოდა თუ არა, რადგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პირველი, რაც ყველაზე კარგად გავაკეთეთ, აშენებულის დანგრევა გახლდათ.

ენგურჰესზე ჩამოსული ხომ ბევრი იყო და ადგილობრივიც უამრავი მუშაობდა. ამას გარდა, ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობაც სარგებლობდა ყველაფერ ამით, ზოგი პროდუქტს ჰყიდდა, ზოგი – ალკოჰოლს, ზოგიც – ხილს. რამდენიმე ადამიანს მდგმურებიც ჰყავდა, ისეთები, რომლებსაც საერთო საცხოვრებელში ყოფნა არ სურდათ და ისინი, ძირითადად, ერთი ოჯახის წევრები ანუ ცოლ-ქმარი იყვნენ. ოთახის ქირაობა თვეში 10-12 მანეთი ჯდებოდა, რაც მშენებლების ხელფასის გათვალისწინებით, სასაცილო თანხა იყო და მას ბევრი იხდიდა.

„სამუშაო დღე დიდი ხნის დასრულებული იყო და განყოფილებაში ერთ-ერთი საქმის გამო შემოვრჩი, მინდოდა, დამესრულებინა ოქმები და მეორე დღეს სასამართლოში გამეგზავნა. ამიტომ, საათს შეგნებულად არ ვუყურებდი, ვიცოდი, გვიანი იყო და ისიც ვიცოდი, რომ საათზე შეხედვა ამაჩქარებდა, აჩქარება კი არ მსურდა. საათს მაშინ დავხედე, როცა ტელეფონმა დარეკა. უხალისოდ დავწვდი ყურმილს, დარწმუნებული ვიყავი, ცოლი რეკავდა და უნდა მომესმინა, რომ ღამის ორ საათზე, ნორმალური ადამიანი ლოგინში უნდა იწვეს, თუმცა ტელეფონში მამაკაცის ხმა გაისმა – სამმართველოს უფროსი იყო და სამინისტროში მიბარებდნენ. მივხვდი, რაღაც განსაკუთრებული მოხდა, ამიტომ ბევრი კითხვა არ დამისვამს, პიჯაკი მხარზე მოვიგდე და სამინისტროში წავედი“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სამინისტროში აუხსნეს, რომ ერთი საათი ჰქონდა მოსამზადებლად და ენგურჰესზე უნდა წასულიყო. მშენებლობის მიმდებარედ სახლი დაიწვა, სადაც ცოლ-ქმარი ცხოვრობდა და მათი დანახშირებული გვამები იპოვეს. ექსპერტი კი ამტკიცებდა, სანამ დაიწვებოდნენ, მათ თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს და მოკლეს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმე ორმაგ მკვლელობასთან ჰქონდათ. სტრატეგიულ ობიექტზე მკვლელობა კი განსაკუთრებული იყო და ამიტომ, გამომძიებელი თბილისიდან მიავლინეს. ადგილზე ჩასულ მაძებრებს შემდეგი სურათი დახვდათ – ახალგაზრდა ცოლ-ქმრის გვამები ისე იყო დანახშირებული, ვერავინ ამოიცნო. სამაგიეროდ, მათი შვილი გადარჩა, 8 წლის ბიჭი, რომელიც იმ დროს მეზობელთან იყო და სწორედ მან შენიშნა მშობლების სახლში ცეცხლი, თუმცა მეზობლებმა ვერაფერი მოახერხეს – ალი მალე მოედო ხის სახლს და ჩაფერფლა. ახლა ბავშვი უაზრო თვალებით იყურებოდა აქეთ-იქეთ და ყველგან დედ-მამას ეძებდა. ექსპერტმა ახალი ვერაფერი თქვა, გარდაცვლილებს ისეთი ძალით ჰქონდათ თავში ჩარტყმული, რომ ორივეს თავის ქალა ჰქონდა ჩამსხვრეული, თუმცა როცა სახლს ცეცხლი წაუკიდეს, ორივე ცოცხალი იყო. უსასტიკესი მკვლელობა სასწრაფოდ გახლდათ გამოსაძიებელი და მეზობლებმა ბევრი საინტერესო რამ თქვეს.

„წყვილს შვილი არ ჰყავდა და ეს ბავშვი აიყვანეს, კარგად უვლიდნენ, არაფერს აკლებდნენ, მაგრამ ცოტა ფუფუნება უყვარდათ და ამიტომ, მუდმივად ვალები ჰქონდათ. როგორც ვიცით, ბოლოს აფხაზეთში, ნათესავების ახლობლებისგან ისესხეს 20 ათასი მანეთი, მაგრამ ვერ გაისტუმრეს, ან როგორ გაისტუმრებდნენ, მუშაობა ეზარებოდათ. მდგმური კი ჰყავდათ – ბელორუსი ცოლ-ქმარი, მაგრამ ისინი თვეში 12 მანეთს იხდინენ და ამ ფულით 20 ათასს ვინ მოაგროვებდა? ერთი კვირაა, ბავშვი ჩემთანაა, ის აფხაზები გადმოვიდნენ, ემუქრებოდნენ, თუ ვალს არ გადაგვიხდით, დაგხოცავთო და ბავშვის გამო, ეშინოდათ მშობლებს. აგერ, ის ბელორუსები ერთი კვირაა, სამშობლოში დაბრუნდნენ, შვებულება აიღეს და ესენი მარტო დარჩნენ, მუდმივად იმის შიშით იძინებდნენ, აფხაზები დაგვადგებიანო. მკვლელობის საღამოს დავინახეთ უცხო მანქანა, ნომერიც კი ჩავიწერე, ისინი რომ წავიდნენ, ნახევარ საათში ავარდა ალი და ვერაფერი მოვახერხეთ“, – თქვა მეზობელმა და გამომძიებელს მანქანის ნომერი წინ დაუდო.

დრო აღარ ითმენდა, ავტომანქანაზე ძებნა გამოცხადდა და ის მალევე დააკავეს. ავტომობილი სწორედ იმ აფხაზის საკუთრება აღმოჩნდა, რომლის ვალიც გარდაცვლილებს ჰქონდათ. დაკავებისთანავე, მანქანის მფლობელმა ყვირილი დაიწყო, მე რომ მიჭერთ, აჯობებს ის თაღლითები დაიჭიროთ, მიჩივლეს ხომ მაგ უნამუსოებმა, არადა, მარტო ერთხელ დავარტყიო. როცა მას აუხსნეს, რომ ცოლ-ქმრის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი, თავში ხელი შემოირტყა, დაიკარგა ჩემი 20 ათასიო და გამომძიებლებმაც ერთმანეთს გადახედეს – მართლაც, რა სარგებელი უნდა მიეღო მას გარდაცვლილებისგან, ან სახლის დაწვას რა აზრი ჰქონდა? ასე ყველაფერს კარგავდა, როცა ცოცხლები იყვნენ, მაშინ კიდევ შეიძლებოდა რაღაცის იმედი ჰქონოდა, თუმცა ძიებას სხვა ეჭვმიტანილი უბრალოდ არ ჰყავდა და იყო კიდევ ერთი დიდი პრობლემა – გვამებზე მეზობლები კი ამბობდნენ, ისინი არიანო, მაგრამ ასპროცენტიანი სიზუსტით თავს ვერავინ დებდა, რადგან ცეცხლს სახე მთლიანად ჰქონდა დამწვარი. ის მეზობელი, რომელიც ბავშვს ინახავდა, ამტკიცებდა, ტანისამოსიც მათია, ზუსტად ასეთი შარვალი და ქამარი ჰქონდა კაცსო, თუმცა... იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვი ნაშვილები იყო, მისგან ანალიზების აღებასა და სისხლის ჯგუფის შედარებას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ ნათესავების ძებნა დაიწყეს და თბილისში ქალის ძმას მიაგნეს, რომელმაც თქვა, არც ჩემი ანალიზი გამოგადგებათ, რადგან მე ნაშვილები ვარ, როცა მიშვილეს, სამი წლის შემდეგ გოგონა შეეძინათ და უკან ხომ არ დამაბრუნებდნენ, მაგრამ მუდმივად მაგონებდნენ, რომ ნაშვილები ვიყავი, ამიტომ, როგორც კი სრულწლოვანი გავხდი, მათთან ურთიერთობა გავწყვიტე და და ათ წელზე მეტია, არ მინახავს, არც მისი ამბავი გამიგიაო.

მამაკაცს რაც შეეხება, მისი მშობლები დიდი ხნის გარდაცვლილები იყვნენ, მას ერთი ძმა ჰყავდა, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა და ძლივს მიაგნეს. ანალიზების გაკეთებამ ძალიან დიდი დრო წაიღო და საბოლოო დასკვნაც დაიდო – გარდაცვლილ მამაკაცს ძმასთან ნათესაური კავშირი არ ჰქონდა.

„როგორც კი პასუხი მივიღე, ბევრი არ მიფიქრია, მაშინვე, იმ ბელორუსი ცოლ-ქმრის ძებნა დავიწყე. ოფიციალური საბუთებით, ისინი მოსკოვში წავიდნენ მატარებლით, მოსკოვიდან კი ბელორუსში და მათი კვალი იქ იკარგებოდა. ბელორუსები პატარა ქალაქ ჟოდინოდან იყვნენ, იქ 60 ათასამდე ადამიანი ცხოვრობდა და ამიტომ, გეზი სწორედ ჟოდინოსკენ ავიღე“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ქართველი გამომძიებელი ჟოდინოში ჩავიდა, ბელორუსი ცოლ-ქმრის საცხოვრებელ მისამართზე გამოცხადდა, მაგრამ შინ არავინ დახვდა. მეზობლებმა უთხრეს, მათ ბინა გაყიდეს, ახლა აქ ქართველები ცხოვრობენ, თუმცა ბინას ისინიც ჰყიდიანო. ქართველი მაძებარი მაშინვე ადგილობრივ განყოფილებაში წავიდა და იქაურ მილიციას დახმარება სთხოვა. საღამოს, შინ დაბრუნებული, „გარდაცვლილი და დამწვარი“ ცოლ-ქმარი, ჟოდინოელმა სამართალდამცავებმა დაკავეს. როგორც კი მათ ქართული საუბარი გაიგეს და მიხვდნენ, რომ საქართველოდან ჩამოაკითხეს, თავები დახარეს და... ქალი ატირდა, ბედი არ მქონიაო.

„ვალებს თავი ვერაფრით დავაღწიეთ, არ ვიცოდით, რა გვექნა. მერე, კარზე ბელორუსი ცოლ-ქმარი მოგვადგა, ჩვენი ასაკის, ჩვენი სიმაღლის, ლამის, ყველაფერი ემთხვეოდა და გეგმაც მაშინ გაჩნდა – ისინი უნდა მომკვდარიყვნენ და ჩვენ მათი ადგილი დაგვეკავებინა. იმ აფხაზს დღე-დღეზე ველოდით, ამიტომ ბელორუსებს სასმელში დასაძინებელი წამალი გავურიეთ და სარდაფში ჩავკეტეთ. მეზობლებში კი ვთქვით, რომ შვებულება აიღეს და ბელორუსში წავიდნენ. როცა ის აფხაზი მოვიდა, ვუთხარით, ვალს მალე დაგიბრუნებთო, თუმცა ყოველნაირად შევეცადეთ, რომ ჩვენთან დიდხანს ყოფილიყო, რადგან მეზობლებს მისი ავტომობილი დაენახათ. შემდეგ, როცა წავიდა, ყველაფერი სწრაფად გავაკეთეთ, ბელორუსებს ჩვენი ტანისამოსი ჩავაცვით, გავთიშეთ და სახლი დავწვით. ბავშვის დატოვება არ გაგვჭირვებია, ჩვენი მაინც არ იყო“, – დაახლოებით, ასე მოჰყვა მომხდარს მამაკაცი.

ცოლ-ქმარი მკვლელობისთვის კი გაასამართლეს, მაგრამ ამ ამბავს სხვა, სევდიანი გაგრძელებაც აქვს. ბავშვი, რომელიც იშვილეს, საბოლოო ჯამში, არავის დასჭირდა და ის კვლავ ბავშვთა სახლში დააბრუნეს.

ბათო ჯაფარიძე

შესაძლოა, ახალი თაობის წარმომადგენლებისთვის წარმოუდგენლად ჩანდეს, მაგრამ იყო დრო, როცა ამდენი ვირუსი, უბრალოდ, არ არსებობდა. ამდენი კი არა, ბავშვებს როცა სიცხე ჰქონდათ, მშობლებმა იცოდნენ, რომ ეს იყო გრიპის ვირუსი (ყოველგვარი სხვა დასახელების გარეშე, უბრალოდ, გრიპი), რომელიც 3-4 დღეში გაივლიდა. არავინ იცოდა, ჩინეთში ღამურას ჭამდნენ თუ ტაილანდში ხოჭოებისგან სუპს ამზადებდნენ. ამის მიუხედავად, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, სხვადასხვა ლაბორატორიაში მიდიოდა სერიოზული მუშაობა იმასთან დაკავშირებით, რომ შეექმნათ სხვადასხვა სახის ვირუსი და ცივი ომის პირობებში, კაპიტალისტური ქვეყნები დაეშინებინათ, აქაოდა, მომაკვდინებელი ვირუსის მატარებელი ვირთხები, ბეღურები, ან სულაც, კოღოები გვყავსო. ეს იყო ზესაიდუმლო ინფორმაცია და აღნიშნულ ლაბორატორიებში შემთხვევითი პიროვნება ვერაფრით მოხვდებოდა. ყველაფერი მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და ინფორმაცია მხოლოდ ცენტრში ანუ მოსკოვში იგზავნებოდა. სხვათა შორის, აღნიშნული ლაბორატორიების ხელმძღვანელები, ხშირ შემთხვევაში, რუსები იყვნენ, რადგან რუსული ნომენკლატურა ბოლომდე არცერთ რესპუბლიკას არ ენდობოდა.

ახალგაზრდა მეცნიერის სისხლიანი შურისძიება

როგორ მოკლეს საიდუმლო ლაბორატორიის თანამშრომელი

სასწრაფო დახმარების მანქანამ მამაკაცს ვეღარ მიუსწრო – ის გარდაცვლილი დახვდათ. აუცილებელი იყო გარდაცვალების მიზეზის დადგენა, რადგან, როგორც ცოლი ამბობდა, ცუდად მოულოდნელად გახდა, სუნთქვის უკმარისობა ჰქონდა და ქალმა მაშინვე სასწრაფოში დარეკა, თუმცა იმის მიუხედავად, რომ ბრიგადა ადგილზე 7 წუთზე ნაკლებ დროში მივიდა, კაცი გარდაიცვალა. ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ კი საქმეში ცალკე – შს სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა გამოძიება და ცალკე – უშიშროების კომიტეტი ჩართეს. მამაკაცი ვირუსით იყო მკვდარი, ეს ვირუსი კოღოებს გადაჰქონდათ და ის კოღოები მხოლოდ სპეციალურ ლაბორატორიაში, მკაცრად დაცულ კოლბებში ჰყავდათ.

„ერთი შეხედვით, მარტივი საქმე იყო – გარდაცვლილი სწორედ იმ ლაბორატორიაში დამლაგებლად მუშაობდა. ჰო, თითქოს, კაცი დამლაგებელი უცნაურად ჟღერს, მაგრამ იქ ქალებს სამსახურში არ იღებდნენ, რადგან ობიექტი გასაიდუმლოებული იყო. მეცნიერ-თანამშრომლებიც კი მხოლოდ კაცები იყვნენ, რადგან აუცილებელი არ იყო, მამაკაცების საზოგადოებაში ერთი ქალი მაინც ყოფილიყო. ჰოდა, ჩვენც და უშიშროების წარმომადგენლებმაც ჩავთვალეთ, რომ რომელიმე კოღოს არასწორად მოექცნენ, მან დამლაგებელს უკბინა, დაინფიცირა და ლეტალური შედეგიც ამის გამო დადგა. ახლა მთავარი იყო, ოჯახისთვის მოგვეფიქრებინა რამე ისეთი ვერსია, რომ აღნიშნული გარდაცვალება საჭორაო თემა არ ყოფილიყო და მეზობლებსა თუ სანათესაოს რამე კუდები არ გამოებათ“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ძალოვნებს აზრი მას შემდეგ შეეცვალათ, რაც ლაბორატორია დაათვალიერეს. გამორიცხული იყო, კოღო შემთხვევით გაფრენილიყო, რადგან ისინი უმკაცრესად კონტროლდებოდნენ და კოღოს გამოშვება ვინმეს რომ მოესურვებინა, მაინც ვერ მოახერხებდა, თუ ამას ლაბორატორიის ხელმძღვანელი არ მოისურვებდა – ოთახის გასაღები, სადაც კოღოები ინახებოდნენ, სწორედ მას ებარა. რას ნიშნავს, ინახებოდნენ? იმას, რომ კოღოები დანაწილებულები იყვნენ ჯგუფებად, ცალ-ცალკე, სპეციალურ კოლბებში, რომლებიდანაც გამოძრომა შეუძლებელი იყო, თუმცა კოლბას ჰქონდა საჰაერო და საკვებისთვის საჭირო ნახვრეტები. ლაბორატორიის ხელმძღვანელი თავს დებდა, აქედან კოღო ვერ გაფრინდებოდა, მაშინ, ლაბორატორიის რომელიმე თანამშრომელს კოლბა უნდა გაეხსნა, კოღო ამოეყვანა, სპეციალურ კონტეინერში გადაეტანა, მერე წაეყვანა და ამ კოღოს მაინცდამაინც დამლაგებლისთვის უნდა ეკბინაო. თანაც, ვინც ყველაფერ ამას გააკეთებდა, უნდა სცოდნოდა, რომ მდედრ კოღოს წაიყვანდა, რადგან მხოლოდ მდედრი კოღოები იკბინებიან და მამრები უვნებლები არიან. ეს ბუნებაშიც ასე ხდება და როცა კოღო გკბენთ, იცოდეთ, რომ ყველა ვარიანტში, მდედრია. შესაბამისად, საქმემ სხვა ხასიათი მიიღო და უშიშროება დივერსიაზე წავიდა, შს სამინისტრო – სხვა მიმართულებით.

ყველაზე ცუდი ის იყო, რომ რეალურად, არავინ იცოდა, რამდენი კოღო ჰყავდათ ლაბორატორიაში, რადგან ისინი მრავლდებოდნენ, კვდებოდნენ და მათი აღირცხვა არ ხდებოდა. რიცხავდნენ მხოლოდ იმ კოღოებს, რომლებზეც ექსპერიმენტს ატარებდნენ, დანარჩენები კი, უბრალოდ, იქ ცხოვრობდნენ და საჭიროების შემთხვევაში, მკვდრებს ანაცვლებდნენ. ვიღაცას შეეძლო, ჯანმრთელი კოღო ჩაესვა ინფიცირებულებში ანუ საქესპერიმენტო კოღოებში და ინფიცირებული კოღო გაეყვანა, მაგრამ როგორ უნდა ეიძულებინა მწერი, რომ კონკრეტულად, დამლაგებლისთვის ეკბინა და საერთოდ, რა შუაში იყო დამლაგებელი, ყველაფერ ამასთან? ჰო, კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი დეტალი – ვირუსი ადამიანიდან ადამიანზე არ გადადიოდა და გადამტანი მხოლოდ კოღო იყო. უშიშროებამ კუდიანებზე ნადირობა დაიწყო, შსს-მ – დამლაგებლის გარემოცვის შესწავლა.

„გავარკვიეთ, რომ დამლაგებლის სტატუსის მიუხედავად, გარდაცვლილს საკმაოდ სოლიდური შემოსავალი ჰქონდა და ეს იმიტომ, რომ საიდუმლო ლაბორატორიაში მუშაობდა. მას ურიგოდ ერგებოდა ბინა, მანქანა და... როგორც მეზობლებმა თქვეს, ცოლთან დაშორებასაც აპირებდა და ახალი საცოლეც შერჩეული ჰყავდა – ახალგაზრდა, სტუდენტი გოგონა, რომელიც მზად იყო, გაჰყოლოდა და ცოლიც შეგუებული გახლდათ დაშორებას. რაც მთავარია, მამაკაცი ამბობდა, ისეთი სამსახური მაქვს, ყველაფერს პირველ ცოლს ვუტოვებ და ახალ ბინასაც და მანქანასაც ჩემით ვიყიდიო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

წესით, ცოლს შურისძიების მოტივი არ უნდა ჰქონოდა და რაც მთავარია, მას შესაძლებლობა არ ჰქონდა, კოღო მოეპარა. მეტიც, მას საფრთხე თავადაც ემუქრებოდა, რადგან თუ კოღომ ქმარს უკბინა, შესაძლებელი იყო, მისთვისაც ეკბინა და ქალს ისიც ჰკითხეს, ბოლო დროს, ქმართან რომელიმე თანამშრომელი ხომ არ იყო სტუმრადო, მაგრამ მან ვერავინ გაიხსენა, ჩვენთან სტუმრები, პრაქტიკულად, არ დადიოდნენ, ბოლო ორი წელია, მე და ქმარი ერთად სხვების დასანახად ვართ, თორემ არც ვსაუბრობდით, სხვა ურთიერთობაზე ლაპარაკიც არ მაქვსო. ქალი ქმრის მომავალ საცოლესაც იცნობდა, რეალურად, თავადაც ახალი ბედის ძებნაში იყო და ისიც იცოდა, რომ ქმარი ყველაფერს უტოვებდა. რა გამოდიოდა? მოტივი და რაც მთავარია, შესაძლებლობა არ ჰქონდა. საცოლე თავს იკლავდა, მეგონა, ბედი გამეხსნა, ბინაც კი შერჩეული გვქონდა, ეს რა დამემართაო და ცხარე ცრემლით ტიროდა. მოტივი არც მას გააჩნდა და არსებობდა ვიღაც მესამე, ვისაც დამლაგებლის სიკვდილი უნდოდა.

„ეს გოგონა ადრე სხვისი საცოლე იყო, მერე ეს კაცი მოეწონა. იმ ყოფილმა, არცთუ დიდი ხნის წინ, მუშტი-კრივიც კი გაუმართა ეზოში, უთხრა, სამსახურიდან გაგაგდებ, ამ გოგოს თუ არ შეეშვებიო“, – ეს თქვეს საცოლის მეზობლებმა. ერთ საათში, მათ საიდუმლო ლაბორატორიის თანამშრომელთა სურათებს ათვალიერებინებდნენ, რომელთა შორის, ერთ-ერთი მეცნიერ-თანამშრომელი ამოიცნეს. უშიშროების სამსახური საქმეს ჩაეხსნა, რადგან მიხვდნენ, ტერორიზმსა თუ დივერსიასთან საქმე არ ჰქონდათ. საიდუმლო ლაბორატორიის თანამშრომელი ერთ საათში გამომძიებლის კაბინეტში იჯდა. თავიდან ჯიუტობდა, მაგრამ როცა გამომძიებელმა უდარდელად უთხრა, უშიშროებას გადაგცემ, ისინი კი ტერორიზმის ან დივერსიის მუხლით გაგასამართლებენ და დაგხვრეტენო, მაშინვე ალაპარაკდა.

„გოგო, რომელზეც დაქორწინებას ვაპირებდი, ლამის, მთელი ცხოვრება მიყვარდა. მერე, თანამშრომელთა შეხვედრის დროს, დამლაგებელი გაიცნო და არ ვიცი, მასში რა მოეწონა, მე მიმატოვა. მასზე მეტი ხელფასიც მაქვს და მომავალიც-მეთქი, ვეუბნებოდი, მაგრამ არაო, ის უფრო მამაკაცურიაო. თურმე, დამლაგებელი მეცნიერ-თანამშრომელზე მამაკაცურია. გავაფრთხილე მეტოქე, თუ გზიდან არ ჩამომშორდები, ინანებ-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა. ამიტომ, გეგმა შევიმუშავე, ორი კოღო გამოვუშვი და თან დამლაგებელი დავიბარე, ბევრი რამ არის მისალაგებელი-მეთქი. მე სკაფანდრი მეცვა და მეორე, დახურულ ოთახში ვიყავი. ვერც კი მიხვდა, კოღომ როდის უკბინა, მე კი დავაფიქსირე. როცა წავიდა, ის კოღოები უბრალოდ დავხოცე და მათ ნაცვლად, კოლბაში სხვები ჩავსვი. ვირუსი თავს სამი დღის შემდეგ იჩენს და როცა სამსახურში არ მოვიდა, მივხვდი, ჩემმა გეგმამ გაამართლა. ვნანობ თუ არა ჩადენილს? არა, არ ვნანობ, რადგან მან წამართვა ის, რაც მე მეკუთვნოდა და მიიღო ის, რასაც იმსახურებდა“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ წინასწარ განზრახული მკვლელობის გამო, მომავალ მეცნიერს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა უშიშროების მთხოვნით, მას სასჯელი არა საერთო დაწესებულებაში, არამედ, ცალკე იზოლატორში უნდა მოეხადა, რათა ის საიდუმლოებები, რომლებიც იცოდა, არ გაეთქვა. ორი წლის შემდეგ, ახალგაზრდა კაცი საკანში გარდაცვლილი იპოვეს. სიკვდილის მიზეზების ძიებით თავი არავის შეუწუხებია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს, ექვსი პირი დააკავეს, ერთი კი ამხილეს. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1972 წელს დაბადებული გ.მ. ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „ეფ-1“-ის ტიპის ხელყუმბარა. შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1963 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ბ.ნ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, ბ.ნ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღები, 128 ვაზნა და 4 მჭიდი. ამავე დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი, 1941 წელს დაბადებული ო.ო. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე ამხილეს. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ო.ო.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, 680 ვაზნა, 3 ხელყუმბარა და 5 სხვადასხვა მოდელის ცეცხლსასროლი პისტოლეტი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დმანისის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1967 წელს დაბადებული ა.მ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი. კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1996 წელს დაბადებული ე.ა. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულის ავტომობილის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო რევოლვერი და 28 ვაზნა. გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1952 წელს დაბადებული გ.წ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

პოლიციამ, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო: სხვადასხვა სისტემის 2 პისტოლეტი, შაშხანა, ფეთქებადი ნივთიერება, 2 ხელყუმბარა, 12 მჭიდი და სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 293 ვაზნა. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1991 წელს დაბადებული დ.ჯ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა– შენახვის ბრალდებით დააკავეს.

პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „ნაგანის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, 16 ვაზნა, გადაჭრილი სანადირო თოფი და მცირეკალიბრიანი შაშხანა – ე.წ. გეკო. დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების, ასევე, ასაფეთქებელი მოწყობილობის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან მსოფლიო კამპანიას შეუერთდა

შინაგან საქმეთა სამინისტრო და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან გლობალურ კამპანიას შეუერთდნენ. მსოფლიო კამპანიის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო საინფორმაციო ღონისძიებები, სლოგანით – „არა ქალზე ძალადობას!“

შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თამილა ბარკალაიამ და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძემ.

ღონისძიებას პარლამენტის წევრები, საკანონმდებლო ორგანოს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს, სახალხო დამცველის აპარატის, სამთავრობო სექტორის და აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორმა გიორგი ოსაძემ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორმა მერი მაღლაფერიძემ წარადგინეს პრეზენტაციები, რომელთა მეშვეობითაც სტუმრებმა ინფორმაცია მიიღეს ქალზე ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, აღნიშნული სამინისტროების მუშაობის შესახებ.

კამპანიის მიზანია, საზოგადოების ინფორმირება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფოს პოლიტიკის შესახებ, ქალთა გაძლიერება/ხელშეწყობა და მათ მიმართ ძალადობის პრევენცია, ჯერ კიდევ ლატენტური ძალადობის შემთხვევებისა და გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა.

კამპანიის ფარგლებში, დღეიდან, მოსახლეობისთვის უკვე დაიგზავნა მოკლე საინფორმაციო სატელეფონო ტექსტური შეტყობინები, ასევე, დაგეგმილია არაერთი ღონისძიება, მათ შორის, საინფორმაციო შეხვედრები თბილისსა და რეგიონებში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან; ასევე, საინფორმაციო შეხვედრა ძალადობაგამოვლილ ქალებთან; გასვლითი შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სადაც მოხდება სხვადასხვა რელევანტური თემის განხილვა; სამუშაო შეხვედრა მედიასთან, რომლის მიზანია მედიასაშუალებების წარმომადგენლებს, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ძალადობის შემთხვევების ეთიკური გაშუქების შესახებ მიეწოდოთ ინფორმაცია. ასევე, ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით დაგეგმილია სექსუალური შევიწროების შესახებ საინფორმაციო ბანერების განთავსება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის კატეგორიის დანაშაულების დროული გამოვლენა და ეფექტიანი გამოძიება, აგრეთვე, ძალადობის წინააღმდეგ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა, სახელმწიფო სერვისებზე მათი ინფორმირების გზით, საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ შეხსენება, რომ სახელმწიფო აქვს მკაცრი პოლიტიკა ძალადობის ჩამდენი პირების მიმართ.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანია მსოფლიოში 1991 წლიდან იმართება, 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით. კამპანიას მსოფლიოს 187 ქვეყანა და 5 000-ზე მეტი ორგანიზაცია აღნიშნავს. კამპანიის მიზანია, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გზით ძალადობის პრევენციის ხელშეწყობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი ოფიციალური ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ შარაძე, დელეგაციასთან ერთად, ოფიციალური ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკაში – ანკარასა და სტამბოლში იმყოფებოდა.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ შარაძე შეხვდა თურქეთის რესპუბლიკის სანაპირო დაცვის სარდალს, კონტრადმირალ აჰმეთ ქენდირს. შეხვედრაზე მხარეებმა ორი ქვეყნის სასაზღვრო უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

თურქეთის რესპუბლიკის სანაპირო დაცვის სარდალმა აღნიშნა, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტისთვის სასწავლო და ტექნიკურ სფეროში დახმარება მომავალშიც გაგრძელდება. თურქულმა მხარემ ქართველი კოლეგებისთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების თაობაზე მზადყოფნა გამოთქვა. მისი თქმით, გასული წლების მსგავსად, თურქეთის სანაპირო დაცვის სასწავლებელში ქართველი მოსამსახურეების გადამზადების პროცესიც გაგრძელდება.

სასაზღვრო პოლიციის უფროსი ნიკოლოზ შარაძე, ქალაქ სტამბოლში განლაგებულ თურქეთის სანაპირო დაცვის მარმარილოს ზღვისა და სრუტეების რეგიონულ სარდალს, კონტრადმირალ თაიფუნ ფაშაოღლუს შეხვდა, სანაპირო დაცვის მცურავი საშუალებები დაათვალიერა და მათ შესაძლებლობებს ადგილზე გაეცნო.

ნიკოლოზ შარაძემ ანითქაბირის მავზოლეუმში პატივი მიაგო თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლისა და ლიდერის, მუსტაფა ქემალ ათათურქის ხსოვნას და მისი საფლავი გვირგვინით შეამკო.

თალიბანის მილიონები, გერმანელთა პროტესტი, არაბების „როლს როისი“ და კოსოვო სერბეთია?

მსოფლიოს ჩემპიონატი ძალას იკრებს

ყატარში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი ყოველდღიურად გვაოცებს. ამბები, რომლებიც იქ ხდება, არანაირ საფეხბურთო ჩარჩოებში არ ჯდება და ყოველდღიურად, სამყარო ახალ-ახალ სკანდალს იგებს. ყველაზე მწვავე სკანდალით დავიწყოთ.

ახლა ირკვევა, რომ ყატარში, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მშენებლობის დროს, ათეულობით მილიონი დოლარი... თალიბებმა იშოვეს. თალიბების ლიდერები დოჰაში 2010 წელს დასახლდნენ და სწორედ იქ აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს ამერიკელებთან. ოფიციალური ტერორისტებისთვის საცხოვრებლის მიცემა ყატარელებმა ერთადერთი მიზნით გადაწყვიტეს – მათ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანა აქვთ, მაგრამ არ აქვთ გავლენა გეოპოლიტიკაზე ანუ ისინი ვერ და არ არიან პოლიტიკური მოთამაშეები და ამ მოლაპარაკებების ადგილად დოჰას არჩევა, მათ დიდ პოლიტიკაში ჩარევა-გარევის შესაძლებლობას აძლევდა. ჰოდა, როცა ყატარში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მშენებლობა დაიწყო, თალიბებმა მძიმე სამშენებლო ტექნიკა შეიძინეს, ის ქვეკონტრაქტორებს მიაქირავეს და იმ 12 წლის განმავლობაში, როცა სამუშაოები მიმდინარეობდა, ათეულობით მილიონი დოლარი იშოვეს. ახლა ამბობენ, რომ ყატარელების გარდა, ეს ამერიკელმა მარალჩინოსნებმაც იცოდნენ, მაგრამ გაჩუმდნენ...

როგორც მოგეხსენებათ, ყატარის ხელისუფლებამ უკმაცრესად აკრძალა ლგბტქ დროშისა და ზოგადად, ლგბტქ სიმბოლიკის გამოყენება. ამიტომ, საფეხბურთო ნაკრებების კაპიტნებს ცისარტყელას ფერებში გადაწყვეტილი სამკლავურების გაკეთება აეკრძალათ და ყველაზე მეტად ეს ამბავი გერმანელებმა გააპროტესტეს. მეტიც, მათმა საფეხბურთო ნაკრებმა, ტურნირის პირველ შეხვედრაში, იაპონელებთან მატჩის წინ, პროტესტის ნიშნად პირზე ხელი აიფარა. შეხვედრას ტრიბუნებიდან ადევნა თვალი გერმანიის შს მინისტრმა ნენსი ფეიზერმა, რომელიც ფიფას პრეზიდენტის, ჯანი ინფანტინოს გვერდით იჯდა. ჰოდა, ფრაუ ნენსიმ შუა თამაშის დროს, პიჯაკი გაიხადა და... მკლავზე ლგბტქ სამკლავური გამოაჩინა. ინფანტინომ ეს ყველაფერი ვერ გააპროტესტა, არადა, კონკრეტულად ამ ტურნირზე, თავად აკრძალა მსგავსი სამკლავურების გამოყენება.

ბრაზილიასთან მატჩი სერბებისთვის მეტად საპასუხისმგებლო იყო, თუმცა შეხვედრა, რომელიც ბრაზილიელებმა ლაღად მოიგეს, სკანდალური გამოდგა. გავრცელდა ფოტო სერბების ნაკრების გასახდელიდან. გასახდელში დროშა ეკიდა, რომელზეც სერბეთის რუკა იყო გამოსახული და რუკაზე კოსოვო, როგორც სერბეთის ნაწილი. რუკას წარწერაც ამშვენებდა – „არ დანებდე“. კოსოვოელებმა ფიფაში საჩივარი შეიტანეს და მოკვლევაც დაიწყო, თუმცა საეჭვოა, ამ ინციდენტის გამო, სერბეთი ჩემპიონატიდან მოხსნან.

საუდის არაბეთის ნაკრებმა, ყველასთვის მოულოდნელად, არგენტინა 2:1 დაამარცხა. ეს იმდენად დიდი შოკი იყო, რომ არგენტინაში, ლამის, გლოვის დღე გამოცხადდა. სამაგიეროდ, საუდის არაბეთის მეფემ ოფიციალურად გამოაცხადა ეს დღე დღესასწაულად, ნაკრების ყველა ფეხბურთელს 2.5 მილიონი დოლარი

უკვე გადაუხადა და ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, შინ დაბრუნებულ მოთამაშეებს ახალი „როლს როისი“ დახვდებათ. ძალიან საეჭვოა, არაბებმა ამ გამარჯვების მიუხედავად ჯგუფიდან გასვლა მოახერხონ, მაგრამ როგორც თავად ამბობენ, მათთვის მსოფლიო უკვე დასრულდა, რადგან ლიონელ მესის არგენტინა დაამარცხეს.

G ჯგუფის პირველ ტურში, შვეიცარიამ კამერუნი დაამარცხა, თუმცა ცუდი თამაშის გარდა, ყურადღება აფრიკის კონტინენტის წარმომადგენელი ნაკრების ფეხბურთელმა, გაელ ონდუამ მიიპყრო. მას ბუცებზე, კამერუნის დროშასთან ერთად, რუსეთის დროშაც ჰქონდა გამოსახული. არადა, ონდუა გერმანული „ჰანოვერის“ ფეხბურთელია. როგორც მერე გაირკვა, ონდუა კამერუნში კი არის დაბადებული, მაგრამ რუსეთში გაიზარდა, ამ ქვეყნის მოქალაქეობაც აქვს და რუსულიც გადასარევად იცის. როგორც მან შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, ამ ნაბიჯით, პატივი სცა ქვეყანას, სადაც გაიზარდა და სადაც ადამიანად ჩამოყალიბდა. სწორედ იმის გამო, რომ ონდუას რუსეთის მოქალაქეობაც აქვს, ფიფამ მის დასჯაზე უარი თქვა, რადგან ფეხბურთელმა, რეალურად, თავისი ქვეყნების დროშები დაიხატა.

2014 წელს, გერმანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგი, 4 წლის შემდეგ კი ჯგუფიდან ვერ გავიდა, რაც კატასტროფად შეფასდა. ახლა კი... ახლა, 2 ტურის შემდეგ, გერმანელებს 1 ქულა აქვთ და უდიდესია იმის შანსი, რომ ალემანები კვლავ ჯგუფში ჩარჩნენ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ესპანეთი იაპონიას არ მოუგებს და სპეციალისტების აზრით, შეგნებულად არც მოუგებს, რადგან პლეი-ოფებში, გერმანელთა ნაცვლად, სწორედ იაპონიამ ითამაშოს, ქვეყანამ, რომელსაც საბოლოო გამარჯვების შანსი უბრალოდ არ აქვს. არადა, ბუნდესნაკრების თავკაცი ჰანს ფილიკი, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასული ნაკრებების მწვრთნელებიდან, ყველაზე მეტ ჯამაგირს იღებს. უინტერესო არ უნდა იყოს, იმ 10 მწვრთნელის დასახელება, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილე გუნდებიდან ყველაზე მეტი ხელფასი აქვთ. მაშ ასე:

1) ჰანსი ფლიკი – 6.5 მილიონი ევრო (გერმანიის ნაკრები);

2) გარეთ საუთგეიტი – 5.8 მილიონი ევრო (ინგლისის ნაკრები);

3) დიდიე დეშამი – 3.8 მილიონი ევრო (საფრანგეთის ნაკრები);

4) ტიტე – 3.6 მილიონი ევრო (ბრაზილიის ნაკრები);

5) ლუი ვან გაალი – 2.9 მილიონი ევრო (ნიდერლანდების ნაკრები);

6) ხერარდო მარტინო – 2.9 მილიონი ევრო (მექსიკის ნაკრები);

7) ლიონელ სკალონი – 2.6 მილიონი ევრო (არგენტინის ნაკრები);

8) ფელიქს სანჩესი – 2.4 მილიონი ევრო (ყატარის ნაკრები);

9) ფერნანდუ სანტუში – 2.25 მილიონი ევრო (პორტუგალიის ნაკრები);

10) მურატ იაკინი – 1.6 მილიონი ევრო (შვეიცარიის ნაკრები).

და ერთიც – იაპონელებმა მსოფლიო კიდევ ერთხელ გააოცეს. მათი ნაკრების თამაშის შემდეგ, გულშემატკივრები ტრიბუნებზე რჩებიან და სტადიონს უფასოდ ალაგებენ. იგივეს აკეთებენ ნაკრების ფეხბურთელები და გასახდელს ალაგებენ. ბევრს ამაზე ეცინება, მაგრამ თუ შინაგანი კულტურა არ გაქვს, უბრალოდ, ამას ვერ და არ გააკეთებ.

დედოფალი ისევ ტახტრევანზეა!

ლეგენდარულმა ნონა გაფრინდაშვილმა საქართველო კიდევ ერთხელ, ამჯერად 81 წლის ასაკში ასახელა. იტალიაში, +65 წლის მოჭადრაკეთა შორის, მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა და ქართველმა დედოფალმა პირველობა არავის დაუთმო. ვეტერანებს შორის, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მან მერვედ მოიპოვა. აღნიშნული ჯილდოების გარდა, გაფრინდაშვილის ყულაბაში, აქტიური კარიერის დროს, 11 საჭადრაკო ოლიმპიადის ოქროს მედალი და მსოფლიოს ჩემპიონის 5 ოქროა.

იმავე იტალიაში, მამაკაცებს შორის, +50 წლიანებში, პირველობა არავის დაუთმო ზურაბ სტურუამ, რომელმაც 8.5 ქულა დააგროვა და საქართველოს ჰიმნი ააჟღერა.

„მებრძოლმა“ ჩემპიონთა ლიგა მოიგო, თუშიშვილმა – კარიერის შეხვედრა

გორში, შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზში, ძიუდოისტთა შორის, ევროპის ჩემპიონთა ლიგის შეხვედრები გაიმართა. ეს ტურნირი ძალიან პრესტიჟულია და მასში გამარჯვება არა მარტო სოლიდური პრემიებით აისახება, არამედ, მონაწილეობასაც საკმაოდ ტიტულოვანი ძიუდოისტები იღებენ. ასე იყო ამჯერადაც და ტურნირის ფავორიტად ფრანგული „პარი სენ ჟერმენი“ გახლდათ შერაცხული, რომლის ღირსებასაც ლეგენდარული ტედი რინერი იცავდა. მსოფლიოს ათგზის, ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონ რინერს, 2010 წლის შემდეგ, მხოლოდ 3 ბრძოლა ჰქონდა წაგებული და აგერ, მეოთხე გორში წააგო. თანაც გურამ თუშიშვილთან, ჩვენს ფალავანთან, რომელზეც სპეციალისტები ამბობდნენ, რომ ადრე თუ გვიან, რინერს აუცილებლად დაამარცხებდა.

ჰოდა, გურამმა ოცნება აისრულა და ყველა დროის საუკეთესო ფალავნად შერაცხულ რინერს მარცხი აგემა. ტურნირის გამარჯვებული ქართული კლუბი, „მებრძოლი“ გახდა, თუმცა ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ამ გამარჯვებაზე მნიშვნელოვანი, თუშიშვილი-რინერის ჯახი იყო. სხვათა შორის, შეჯიბრს პირდაპირ ეთერში ევროპის რამდენიმე ქვეყანა გადასცემდა და იქაც მთავარ მოვლენად, სწორედ რინერის მარცხი აღარეს.

მორჩა – რონალდუ „მანჩესტერიდან“ წავიდა

როცა სეზონის წინ, კრიშტიანუ რონალდუ „მანჩესტერში“ დაბრუნდა, ყველას ეგონა, რომ ის კვლავ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იქნებოდა, თუმცა მანჩესტერელთა თავკაცმა პორტუგალიელი მოიძულა და მას უბრალოდ არ ათამაშებდა. შედეგად, კრიშტიანუმ მის წინააღმდეგ არაერთხელ გაილაშქრა, ბოლოს კი, მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლამდე ისიც თქვა, მწვრთნელს პატივს არ ვცემო. ჰოდა, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულება განულდა და რონალდუ თავისუფალი აგენტი გახდა. არადა, მას კონტრაქტი 8 თვის შემდეგ უმთავრდებოდა და ხელშეკრულების ცალმხრივად გაწყვეტის შემთხვევაში, კომპენსაციის სახით, 17 მილიონი გირვანქა უნდა მიეღო, თუმცა ამაზე უარი თქვა.

„ახალი გამოწვევების დროა, დასრულდება მსოფლიოს ჩემპიონატი და მე ახალ კლუბში გადავალ“, – განაცხადა რონალდუმ, რომელმაც პორტუგალიის ნაკრებში გოლი უკვე გაიტანა და გახდა პირველი ფეხბურთელი, რომელმაც მსოფლიოს ხუთ სხვადასხვა ჩემპიონატზე მოახერხა გოლის გატანა. იმის გათვალისწინებით, რომ მუნდიალი 4 წელიწადში ერთხელ იმართება, ეს მართლაც უნიკალური მიღწევაა.

ყველაფერი ჰერპესვირუსზე – რა სიმპტომები აქვს და შესაძლებელია თუ არა ჰერპესის მკურნალობა სახლის პირობებში

გვანცა პეტრიაშვილი

ინტერვიუ დერმატოლოგ სოფო ლილუაშვილთან

სტატისტიკურად, მსოფლიოს მოსახლეობის 90% ჰერპესის ვირუსითაა ინფიცირებული. ჰერპესი არის ინფექცია, რომელიც ბუდობს ადამიანის ორგანიზმში და პერიოდულად, პატარა ბუშტუკებით ვლინდება სხეულის სხვადასხვა ადგილას – პირისა და პირის ღრუს მიდამოზე, გენიტალიურ (სასქესო) ორგანოზე, თვალის გარშემო... ყველაზე ხშირად გვხვდება მარტივი, ე.წ. ტუჩის ჰერპესი, რომელსაც ძირითადად მარტივი ჰერპესის 1 ტიპი იწვევს. ტუჩის ჰერპესი შემაწუხებელი და მტკივნეულია. მარტივი ჰერპესის ორი ტიპი არსებობს – 1 და 2. ორივე ტიპის ვირუსმა, შესაძლოა, გენიტალიური ჰერპესიც გამოიწვიოს... რა არის ჰერპესის გამომწვევი მიზეზები და როგორია მკურნალობის მეთოდი? – „ვერსია“ ექიმ-დერმატოლოგ სოფო ლილუაშვილს ესაუბრა:

– ქალბატონო სოფო, პირველ რიგში, ჰერპესის გამომწვევ მიზეზებზე ვისაუბროთ...

– ჰერპესის გამომწვევი მიზეზი ჰერპეს-ვირუსული ინფექციაა, რომელიც გადამდებია და გადადის ჰაერწვეთოვანი, ასევე, სქესობრივი გზით. ზოგ შემთხვევაში, საკმაოდ მძიმედაც მიმდინარეობს – პირის ღრუში წყლულების განვითარებითა და დისფაგიით (ტკივილი ყლაპვის დროს). აგრეთვე, შესაძლებელია შევხვდეთ შემდეგ სიმპტომებსაც: ცხელება, გადიდებული ლიმფური ჯირკვლები, ცუდი სუნი პირის ღრუში, მადისა და ენერგიის დაქვეითება.

– რა უწყობს ხელს ჰერპესის გააქტიურებას?

– ჰერპესის მაპროვოცირებელი ფაქტორები შეიძლება იყოს ყელის ინფექციები, მენსტრუაცია, მზის ჭარბი გამოსხივება, მზისგან მიღებული დამწვრობა, ნერვული სტრესი, გადატანილი დაავადებები, მედიკამენტური მკურნალობა და სხვადასხვა მწვავე ინფექცია ანუ ნებისმიერი რამ, რაც იმუნური სისტემის დაქვეითების მაპროვოცირებელია.

– რა გართულებები ახლავს ჰერპესვირუსს?

– ეს გახლავთ ქრონიკული დაავადების პერიოდული გამწვავება, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი გვერდითი ეფექტი და გართულება შეიძლება იყოს მეორადი ინფიცირება, როდესაც ვირუსულ ინფექციას ერთვება ბაქტერიული ინფექცია. ვინაიდან ჰერპესის შემთხვევაში, სპეციფიკური გამონაყარი გვაქვს – გამოვლინება ბუშტუკების სახით, ჰერპესის განვითარება შემდეგნაირია: ვითარდება ბუშტუკები, მისი გასკდომის შედეგად წარმოიქმნება ქერქები და ქერქების გაქრობის შედეგად რჩება ლაქები, როგორც პოსტანთებითი ცვლილება. ბუშტუკების გაქრობის შემდეგ, ირღვევა კანის მექანიკური ბარიერი და ხელსაყრელი პირობები იქმნება იმისთვის, რომ ჩაინერგოს ისეთი მეორადი ბაქტერიული ფლორა, როგორიცაა სტაფილოკოკი, სტრეპტოკოკი და იქმნება კონკრეტულად ჰერპესის კერის მეორადი ინფიცირება.

– სხეულის რა ადგილებში შეიძლება გაჩნდეს ჰერპესი?

– გვაქვს ჰერპესის ორი ტიპი: ჰერპესვირუსული ინფექცია, ტიპი 1 და ტიპი 2. ტიპი 1 იწვევს ლაბიალურ ჰერპესს, ე.წ. ტუჩის ჰერპესს და შესაძლებელია, აგრეთვე, გამოიწვიოს ჰერპესული გინგივო-სტომატიტი – პირის ღრუს ჰერპესული ინფექცია, რომელიც ძალიან მწვავედ მიმდინარეობს. ხშირად, პირველ ეპიზოდს ახასიათებს და შეცდომით დიაგნოსტირდება, როგორც პირის ღრუს სოკოვანი დაავადება, ან როგორც ჰიპერსენსიტიური რეაქცია, რაც მიმდინარეობს ძალიან მწვავე სურათით და პაციენტებს უჭირთ ღეჭვა, ყლაპვა.

რაც შეეხება მეორე ტიპის ჰერპესს, ეს არის გენიტალიური ჰერპესი, რომელიც გვხვდება გენიტალიუმის შემთხვევაში, მამაკაცებში – სასქესო ასოზე და ქალებში – მცირე ან დიდ სასირცხვო ბაგეებზე. მეორე ტიპის ჰერპესი სქესობრივი გზით გადამდები ინფექციაა.

– რა იწვევს გენიტალიურ ჰერპესს?

– როგორც აღვნიშნეთ, გენიტალიური ჰერპესი სქესობრივი გზით გადამდები ინფექციაა ანუ დაინფიცირებული ადამიანი სქესობრივი კონტაქტის შემდეგ გადასცემს პარტნიორს ინფექციას, განსაკუთრებით, თუ ბუშტუკების მთლიანობა დარღვეულია და პაციენტს აღენიშნება კანის მთლიანობის დარღვევა. რაც შეეხება სიმპტომებს, ესენია: წვა, ქავილის შეგრძნება, სიმხურვალის შეგრძნება. ვიზუალურად ჩვენ ვხედავთ შეწითლებულ ფონზე ჯგუფად დალაგებულ მცირე ზომის ვეზიკულებს, რომლებშიც არის ექსუდატი, სითხე, რაც ანთების დროს გროვდება.

– განსხვავდება თუ არა გენიტალიური ჰერპესის მკურნალობის მეთოდი?

– ეს ორივე ტიპი არის მარტივი ჰერპესვირუსი. განსხვავებულია მკურნალობის მეთოდი იმ შემთხვევაში, თუ ესაა პირველი ეპიზოდი ცხოვრებაში, მაშინ მას სჭირდება უფრო ხანგრძლივი მკურნალობა, განმეორებით ეპიზოდებს უფრო ხანმოკლე მკურნალობა, ანტივირუსული პრეპარატები და შესაძლოა, იმუნოსტიმულატორებაც დასჭირდეს.

– რა უნდა გაკეთდეს ამ დაავადების პროფილაქტიკისთვის?

– პროფილაქტიკის თვალსაზრისით გამოიყენება ანტივირუსული პრეპარატები, იმუნომოდულატორები, თავი უნდა ავარიდოთ გამომწვევ ფაქტორებს – სტრესს, მზის გამოსხივებას და ა. შ.

რაც შეეხება პრევენციას, დიდი მნიშვნელობა აქვს პირად ჰიგიენას, რადგან ეს გადამდები დაავადებაა. სქესობრივი კონტაქტის შემთხვევაში, აუცილებელია თავდაცვა პრეზერვატივის გამოყენებით.

– რა ასაკშია გავრცელებული ჰერპესვირუსი?

– ბავშვთა ასაკში ყველაზე მეტადაა გავრცელებული, მიმდინარეობს გინგივო-სტომატიტის სახით. პირველი ეპიზოდია პირის ღრუს ჰერპესული ინფექცია და ძალიან ხშირია მოხუცთა ასაკში, რამდენადაც მათი იმუნური სისტემა არ არის ისეთი ძლიერი, როგორც შუახსნის ასაკის ადამიანის.

– სახლის პირობებში მკურნალობა შესაძლებელია?

– უმეტეს შემთვევაში, თუ არ გვაქვს დამამძიმებელი გარემოებები და თანმხლები მძიმე დაავადებები, ჰერპესული ინფექცია მარტივად გადაიტანება და ჰოსპიტალიზაციას არ საჭიროებს. რა თქმა უნდა, მკურნალობა შესაძლებელია სახლის პირობებშიც, თუმცა მკაცრად – ექიმის დანიშნულებით და არა – თვითნებურად. თუ პაციენტი ვერ ახერხებს კვებას, არ არის ყლაპვის პროცესი უზრუნველყოფილი და აქვს თანმხლები დაავადებები, ამ შემთხვვაში, სჭირდება ჰოსპიტალიზაცია.

წიწაკიანი ნაყინი – უფასოდ

პატარა იაპონურ დასახლება ხირატაში, რომელიც ფუკუსიმას პრეფექტურაშია, ტურისტებს ნაღების ნაყინს მწარე წიწაკა „ჰაბანეროს“ დამატებით სთავაზობენ. საქმე ისაა, რომ მწარე წიწაკის მომყვანებმა გასაღების ბაზარი ვერ იპოვეს, ამიტომ ფერმერებმა გადაწყვიტეს, ტურისტებისთვის რეალითი-შოუ მოაწყონ და ბოსტნეული ნაყინის ინგრედიენტად შესთავაზონ. ამ ცივი დესერტის გამყიდველები, რომლებიც დამცავი სათვალითა და ხელთათმანებით არიან აღჭურვილნი, კლიენტებს ნაყინზე დაფქვილ „ჰაბანეროს“ უყრიან, იმის გათვალისწინებით, ვის როგორი ხარისხის სიმწარე სურს გასინჯოს. ნაყინი 500 იენი ღირს, ყველაზე გაბედული მყიდველი კი, რომელიც ნაყინს წიწაკის ჯოჯოხეთური (ძალიან მწარე) პორციით მიირთმევს, ცივ დესერტს უფასოდ მიიღებს.

ვენა – საუკეთესო ქალაქი საცხოვრებლად

მსოფლიოს მასშტაბით, საცხოვრებლად საუკეთესო ქალაქად, ავსტრიის დედაქალაქი ვენა უკვე მესამედ (2018 და 2019 წლების შემდეგ) დაასახელეს. ვენა ასეთი მომხიბვლელი სტაბილური პირობების, კარგი ინფრასტრუქტურისა და ჯანდაცვის, ასევე, კულტურისა და დასვენების სფეროში უამრავი შესაძლებლობის გამო ხდება. ბრიტანული ჟურნალის – The Economist-ის შედგენილი რეიტინგის მეორე ადგილზეა დანიის დედაქალაქი კოპენჰაგენი, მესამეზე – შვეიცარიული ციურიხი. ერთ დროს მოწინავე პოზიციებზე მყოფი რუსეთის დედაქალაქი 15 ადგილით ჩამოქვეითდა, მიზეზი ის მრავალრიცხოვანი საერთაშორისო სანქციებია, რომელიც ამ ქვეყანას უკრაინაში შეჭრის გამო დაუწესეს. ჩამონათვალის ბოლო ადგილებზეა ლიბიის დედაქალაქი ტრიპოლი, ნიგერიის – ლაგოსი და სირიის – დამასკო. სულ, რეიტინგში, მსოფლიოს 173 ქვეყანა მოხვდა.

შეცდომით ჩარიცხული ხელფასით გაუჩინარდა

ჩილელმა მამაკაცმა, რომელსაც შეცდომით ხელფასზე 286-ჯერ მეტი თანხა ჩაერიცხა, სამსახური მიატოვა და გაუჩინარდა. ხორცის კომპანია Cial-ის თანამშრომელს, 500 ათასი პესოს (542 დოლარი) ნაცვლად, 165 მილიონზე მეტი (დაახლოებით, 180 ათასი დოლარი) ხელფასი გადაურიცხეს. თანამშრომელმა ამ შეცდომის შესახებ კომპანიის ხელმძღვანელობას აცნობა, რომელთაც ფულის დაბრუნება სთხოვეს. მამაკაცმა განუცხადა, რომ მეორე დღეს ბანკში მივიდიდა და თანხას დააბრუნებდა, თუმცა ამის შემდეგ, ის არც სამსახურში და არც ბანკში აღარ უნახავთ. მოგვიანებით, ჩილელმა სამსახურის დატოვების შესახებ კომპანიას დისტანციურად აცნობა და სატელეფონო ზარებს აღარ პასუხობდა. მისი ადგილსამყოფელი ამ დროისთვის უცნობია. კომპანიის ხელმძღვანელობა აპირებს, თანხის მითვისების გამო, ყოფილ თანამშრომელს სასამართლოში უჩივლოს.

სალონში თავის ორჯერ დაბანა აკრძალეს

იტალიაში, ემილია-რომანიას რეგიონში მდებარე ქალაქ კასტენაზოს მერმა სტილისტებს კლიენტებისთვის თავის ორჯერ დაბანა აუკრძალა. დამრღვევებს 500 ევრომდე ჯარიმის გადახდა ემუქრებათ. ეს შეზღუდვა ქვეყანაში, ბოლო 70 წლის განმავლობაში, უძლიერესი გვალვის გამო შემოიღეს. ქალაქის ადმინისტრაცია ამტკიცებს, რომ გამდინარე წყლით ორჯერ თმის დაბანას 20 ლიტრზე მეტი წყალი სჭირდება. გარდა ამისა, ღია ონკანიდან, ერთ წუთში 13 ლიტრი წყალი გაედინება. აღსანიშნავია, რომ 16-ათასიანი მოსახლეობის მქონე კასტენაზოში, სილამაზის 10 სალონი მუშაობს. ძლიერი გვალვების გამო, წყლის მოხმარებაზე შეზღუდვები ქვეყნის მასშტაბით, ყველა რეგიონსა და ქალაქში შემოიღეს. მაგალითად, მილანში შადრევნებიც კი გათიშეს.

ყველაზე ძვირფასი ნიშნობის ბეჭედი მერაიას აქვს

მერაია ქერის ნიშნობის ბეჭედი, შოუ-ბიზნესის ისტორიაში, ყველაზე ძვირადღირებულ საიუველირო ქმნილებად დასახელდა. მომღერალს ბეჭედი ყოფილმა საქმრომ, ავსტრალიელმა მილიარდერმა ჯეიმს პაკერმა აჩუქა. 35-კარატიანი ბრილიანტისთვლიანი სამკაული პაკერს 10 მილიონი დოლარი დაუჯდა. წყვილმა ერთმანეთი 2015 წელს გაიცნო და მათი ურთიერთობა სწრაფად განვითარდა. ისინი დაქორწინებას აპირებდნენ, თუმცა საქმე აქამდე არ მისულა. პაკერი და ქერი ერთმანეთს 2016 წელს დაშორდნენ, ნიშნობის ბეჭედი კი, გრძნობების სამახსოვროდ, მერაიამ დაიტოვა. მომღერლის ერთ-ერთი ბიზნეს-მენეჯერის თქმით, მოგვიანებით, 2018 წელს, ქერიმ ის 2.1 მილიონ დოლარად მიჰყიდა იუველირს.

ულამაზესები – პლასტიკური ქირურგებისგან

მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქალი ლონდონის კოსმეტიკური და პლასტიკური ქირურგიის ცენტრის სპეციალისტებმა დაასახელეს. იდეალური სახის მქონე ადამიანი რომ გამოევლინათ, დოქტორმა, ჟულიან დე სილვამ „ოქროს კვეთის“ წესები გამოიყენა. მიღებული შედეგების მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე ლამაზ ქალად ამერიკელი მსახიობი, ემბერ ჰერდი დასახელდა. ექსპერტების თქმით, ჯონი დეპის ყოფილ ცოლს სახის იდეალური პროპორციები აქვს, მათ შორის, თვალები, ცხვირი, ტუჩები და ნიკაპი. დე სილვას თქმით, იდეალური წარბები აღმოაჩნდა კიმ კარდაშიანს, იდეალური თვალებით გამოირჩევა სკარლეტ იოჰანსონი, ხოლო მოდელ ემილი რატაკოვსკის იდეალური ტუჩები აქვს. ყველაზე ლამაზების ტოპ-ათეულში მოხვდნენ ქეით მოსი, კენდალ ჯენერი, ჰელენ მირენი, სელენა გომესი, მერილინ მონრო, ჯენიფერ ლოურენსი.

მოდის კოლექცია მწვანილითა და ხავსით

ცოტა ხნის წინ, პარიზში გამართულ მოდის კვირეულზე, გაზაფხული-ზაფხულის 2023 წლის მამაკაცის ახალი, უჩვეულო კოლექცია წარადგინა ესპანური მოდის სახლმა – Loewe-მ. პოდიუმზე ნაჩვენები ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და აქსესუარები დაფარული იყო მიკრომწვანილითა და ხავსით. ის ბრენდის კრეატიული დირექტორის, ჯონათან ანდერსენის თხოვნით, დიზაინერმა პაულა ულარგიმ მოიყვანა. პაულა ძირითადად ასეთ დიზაინზე – ცოცხალი ბუნების ელემენტებით გაწყობილი ტანსაცმლის შექმნაზეა სპეციალიზებული. კერძოდ, მას მიკრომწვანილი და ხავსი უშუალოდ ქსოვილზე მოჰყავს.

კორონავირუსი კატისგან გადაედო

ტაილანდში, შინაური კატიდან ადამიანზე კორონავირუსის გადადების ფაქტი დაფიქსირდა, რაც პირველი შემთხვევაა მსოფლიოში. აქამდე მიიჩნეოდა, რომ მართალია, კატები ავადდებიან კორონავირუსით, მაგრამ არ აინფიცირებდნენ ადამიანს. როგორც გაირკვა, ეს უნიკალური შემთხვევა გასულ წელს მოხდა. მამა-შვილს, რომელთაც ვირუსი დაუდგინდათ, კლინიკაში გადაიყვანეს, მათი კატა კი ვეტკლინიკაში გამოკვლევაზე წიყვანეს. ნაცხის აღებისას, ცხოველმა ვეტერინარზე დააცემინა, მისი ტესტი კი დადებითი აღმოჩნდა.

ერთი კვირის შემდეგ, კორონავირუსის სიმპტომები გამოუვლინდა ვეტერინარს, რომელსაც მანამდე არ ჰქონია კონტაქტი შინაური ცხოველების დაინფიცირებულ პატრონებთან, არც მის ოჯახში იყო ვინმე ავად. გენომის სეკვენირებამ დაადასტურა, რომ კატა, მისი პატრონები და ვეტერინარი ვირუსის ერთი და იგივე შტამით იყვნენ ავად. ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ მსოფლიოს მასშტაბით, ეს ერთადერთი ცნობილი შემთხვევა არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ კორონავირუსიანი შინაური ცხოველებიდან ადამიანები აუცილებლად დაინფიცირდებიან.

ერთი ცალი ბალი 300 დოლარად გაიყიდა

ეს ფაქტი, რასაკვირველია, ამომავალი მზის ქვეყანაში მოხდა. აომორის პრეფექტურაში მოყვანილი იშვიათი ჯიშის – Aomori Heartbeat ბალი რეკორდულ ფასად გაიყიდა. აუქციონზე გამართულ პირველ ვაჭრობაზე, ერთ ყუთში მოთავსებულ 15 ცალ ბალში, მყიდველმა 4.4 ათასი დოლარი გადაიხადა ანუ ერთი ცალი ნაყოფი მას 296 დოლარი დაუჯდა. აღსანიშნავია, რომ ეს თანხა 25%-ით მეტია გასული წლის ფასზე. აუქციონზე, სულ ხილის 11 ასეთი ყუთი გაიყიდა. აომორის პრეფექტურის მწარმოებლებმა ბაზარზე მათი გამოყვანილი ბლის ჯიშის აქტიურად წარდგინება სამი წლის წინ დაიწყეს. Aomori Heartbeat გამოირჩევა ნაყოფის ზომით (2-2.5 სმ. დიამეტრით), კაშკაშა წითელი ფერით, სიპრიალითა და გემოს გაჯერებული ბალანსით.

შვილებს აპოკალიფსისთვის ამზადებს

დიდ ბრიტანეთში, მარტოხელა დედამ გადაწყვიტა, შვილებს დამოუკიდებელი ცხოვრება ასწავლოს. მან მთელი ქონება გაყიდა და სახლი ბორბლებზე შეიძინა, სადაც არც შხაპია, არც აბაზანა და არც გათბობა. ქალის აზრით, მისმა შვილებმა აპოკალიფსის შემთხვევაში, გადარჩენა უნდა შეძლონ. არასრულწლოვანებს დედამ პნევმატური იარაღიდან სროლა, თავდაცვის უნარ-ჩვევები და საკვების მოპოვება ასწავლა. რამდენიმე წლის განმავლობაში, ისინი კვირაში ერთხელ ბანაობდნენ ბაბუას სახლში. ცოტა ხნის წინ, ოჯახი საცხოვრებლად სახლში დაბრუნდა. ქალმა გადარჩენის კურსების წაყვანა დაიწყო, რადგან აღმოჩნდა, რომ ამ ტიპის კურსებზე დიდი მოთხოვნაა. ბრიტანელი ქალბატონი ოცნებობს, კვლავ გათიშოს ინტერნეტი და საცხოვრებლად საფრანგეთში, ისევ ბორბლებზე სახლში გადავიდეს.

ქორწილის სტუმრებს სასმელს მიჰყიდიან

საიდუმლო არავისთვისაა, რომ ქორწილის გადახდა ძვირი სიამოვნებაა. გონებამახვილი წყვილები კი ყოველთვის ეძებენ გამოსავალს, ცოტა ეკონომია გააკეთონ და თანხა დაზოგონ. ასე მოიქცა ბრიტანელი წყვილიც – მათ ქორწილისთვის განსაზღვრული თანხის „ამოღების“ გზა გამონახეს. სიძე-პატარძლის გადაწყვეტილებით, ვერც ერთი სტუმარი უფასო ბარით ვერ ისარგებლებს, თუკი მათი თაფლობის თვის ან ახალი სახლისთვის შექმნილ ანგარიშზე თანხას არ ჩარიცხავენ. როგორც ბრიტანული „მირორი“ წერს, ვინც სასმელის ულიმიტოდ მირთმევას მოინდომებს, ვალდებული იქნება, 12 გირვანქა სტერლინგი (8 – ანგარიშზე და 4 – ბარმენისთვის) გადაიხადოს. ამ გადაწყვეტილების შესახებ მომავალმა პატარძალმა სოციალურ ქსელში დაწერა, რასაც არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა.

ყველაზე ღრმად ჩაძირული გემი იპოვეს



ფილიპინების ზღვაში, მსოფლიოში ყველაზე ღრმად ჩაძირული გემი აღმოაჩინეს. ეს ამერიკული გამანადგურებელია – Samuel B. Roberts (DE-413). გემი, რომელიც ზღვის ფსკერზე მეორე მსოფლიო ომის დროს აღმოჩნდა, თითქმის შვიდი კილომეტრის სიღრმეზე „განისვენებს“. გამანადგურებელი ლეიტის ყურეში 1944 წლის ოქტომბერში ჩაიძირა – იაპონელებმა მას სამი ჭურვი ესროლეს. გემზე მყოფებიდან, 90 ადამიანი დაიღუპა, 120 კი გადარჩა. ხომალდი მკვლევარმა და მილიარდერმა, ვიკტორ ვესკოვომ აღმოაჩინა, რომელმაც წყალქვეშა აპარატი ჩაუშვა გემის ნამსხვრევების სანახავად. ისინი 6 895 მეტრის სიღრმეზეა – ეს ყველაზე ღრმა ადგილია, სადაც კი ჩაძირული გემები უნახავთ, – განაცხადა ვესკოვომ.

ადამიანის დნმ-ის რედაქტირება დაიწყეს

ჩინეთში, აქტიურად შეუდგნენ ადამიანის გენომის რედაქტირებაზე მუშაობას. სწავლულებს სჯერათ, რომ ეს დაეხმარება კაცობრიობას, თავი დააღწიოს საშიშ დაავადებებს. აღსანიშნავია, რომ მეცნიერების ამ სფეროში ჩინელები გაცილებით წინ წავიდნენ, ვიდრე სხვა ქვეყნები. ამას ქვეყნის ლოიალური კანონმდებლობაც უწყობს ხელს. სხვაგან ადამიანის გენომის შეცვლაზე ექსპერიმენტები არ არის ნებადართული. ჩინელები ექსპერიმენტებს მოხალისეებზე ატარებენ, რომლებიც ცდებში მონაწილეობას დათანხმდნენ. ამის წყალობით, ჩინეთი ამ სფეროში მსოფლიო ლიდერია. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დნმ-ის რედაქტირების (საწყის მდგომარეობაში დაბრუნება) გზით, შესაძლებელია არა მხოლოდ სიმსივნისგან თავის დაღწევა, არამედ, ყველა იმ საშიში დაავადების თავიდან აცილებაც, რომლებიც ძალიან ხშირად, ლეტალური შედეგით სრულდება.

ტატუ – ახალი ფეხსაცმლის ნაცვლად

ტატუს ოსტატმა დინ ჰანტერმა, რომელიც სამხრეთ ამერიკიდან დიდ ბრიტანეთში გადაბარგდა, მამაკაცს ფეხებზე, ბოტასების სახით, ტატუ გაუკეთა. ოსტატის თქმით, მისი კლიენტი შეწუხებული იყო ახალ-ახალი ფეხსაცმლის ყიდვით, ამიტომაც გადაწყვიტა, ფეხებზე მისი საყვარელი სპორტული ფეხსაცმლის, Nike-ის დიზაინი ტატუს სახით გაეკეთებინა. ამ სამუშაოს შესასრულებლად, ჰანტერს დაახლოებით 10 საათი დასჭირდა.

„მინდოდა იმის ილუზია შემექმნა, რომ ადამიანს ფეხზე აცვია მაშინაც კი, როცა ის ფეხშიშველია. ეს ნამდვილად მიიქცევს ყველას ყურადღებას“, – ამბობს ოსტატი.

საცურაო კოსტიუმი ნაგვისგან



დიზაინრებმა „მწვანე კონტინენტიდან“, განსაკუთრებული „კუპალნიკები“ შექმნეს, რისთვისაც გადამუშავებული ნაგავი გამოიყენეს. კერძოდ, საცურაო კოსტიუმების ახალი ხაზი გადამუშავებული პლასტმასის, მეთევზეების ბადეებისა და სხვა ნარჩენებისგან დაამზადეს. ავტორების თქმით, ნაგავი სხვადასხვა სანაპიროზე, პლაჟებზე შეაგროვეს – იქ, სადაც მოგვიანებით, მოდის მიმდევრები ახალი საცურაო კოსტიუმებით მოიწონებენ თავს. დიზაინერები ამ ფაქტს მოდის ინდუსტრიაში გადადგმულ დიდ ნაბიჯს უწოდებენ და იმასაც აღნიშნავენ, რომ გადამუშავებული ნარჩენებისგან შექმნილი ნივთები ადამიანებს ეკოლოგიასა და პლანეტის გადარჩენეზე დააფიქრებს. საცურაო კოსტიუმების შეძენის მსურვლებს მისი ავტორები არწმუნებენ, რომ ის აბსოლუტურად ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხოა. სიახლის ფასი 60 დოლარიდან იწყება.

ტვინს შაქარზე უარს ათქმევინებენ

კოლუმბიის უნივერსიტეტის სწავლულებმა, ჭარბ წონასთან საბრძოლველად ახალი მეთოდი შეიმუშავეს. სპეციალისტებმა ნეირონების დონეზე ადამიანის დაპროგრამება შეძლეს და მას შაქარი შეაზიზღეს. მკვლევარებმა თავის ტვინის ორი უბანი განსაზღვრეს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გემოს აღქმაზე – ნუშურა სხეული და კუნძულოვანი ნაწილი. როგორც წესი, ადამიანი ტკბილთან სასიამოვნო ემოციებს აიგივებს, მწარესთან კი – პირიქით. მკვლევარებმა, ტვინის სფეროზე ზემოქმედებით, შეძლეს ამ აღქმის შეცვლა. მაგალითად, შეიძლება ისე მოხდეს, რომ ყველაფერი ტკბილი ადამიანის ორგანიზმმა ნეგატიურად აღიქვას. ახალი ტექნოლოგია სპეციალისტებმა მღრღნელებზე გამოსცადეს და წარმატებას მიაღწიეს.

ჭარბ წონას წამალი უშველის

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ბოლო 50 წლის განმავლობაში, ჭარბწონიანი მოსახლეობის რაოდენობა სამჯერ გაიზარდა. წლების განმავლობაში, არაერთი წამალი შეიქმნა, რომელიც ნერვულ სისტემაზე ზეგავლენის გზით, აქვეითებს მადას და წონის კლებას უწყობს ხელს. თუმცა, თითქმის ყველა მათგანი აიკრძალა, რადგან მნიშვნელოვანი გვერდითი მოვლენებით ხასიათდება. ცოტა ხნის წინ, ცნობილი გახდა ავსტრალიელი სწავლულების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. ისინი იკვლევდნენ პრეპარატს, რომლის მიზანიც წონის კლებაა, ოღონდ ისე, რომ მადის დაქვეითება ნერვულ სისტემაზე ზაგავლენით არ მოხდეს. ახალი წამალი ნერვის სასიგნალო მოლეკულაზე (ნეიროპეპტიდ Y-ზე) ზემოქმედებს. სწორედ ამ მოლეკულის დახმარებით აქვს უნარი ცოცხალ არსებას, გაუმკლავდეს საკვების დეფიციტს. მედიკამენტი ნეიროპეპტიდის რეცეპტორებს თრგუნავს. შედეგად, ცხიმი, რომელიც ორგანიზმს მარაგის სახით აქვს შენახული იწვება, რაც წონის კლებას უწყობს ხელს. მღრღნელებზე ჩატარებული ცდებით, პრეპარატი არ მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, არ იწვევს განწყობის ცვლილებას და 40%-ით ამცირებს წონას. გარდა ამისა, უმჯობესდება გლუკოზის მეტაბოლიზმი, ხელს უწყობს ძვლის უჯრედების ზრდას და სიმკვრივეს. ავსტრალიელთა ცდების შედეგები დამაიმედებელია, ამიტომ კვლევები გრძელდება.

რესტორანი ინტროვერტებისთვის

ნიუ-იორკში, კიდევ ერთი უნიკალური იაპონური რესტორანი გაიხსნა ინტროვერტებისთვის, რომელსაც Ichiran Ramen ჰქვია. ბრუკლინში მდებარე დაწესებულების მფლობელები აღნიშნავენ, რომ მხოლოდ მათთანაა შესაძლებელი, ბოლომდე შეიგრძნოთ კერძის გემო და ისიამოვნოთ მისით. „ეს რესტორანი სადილობის ჩვეულებრივი ამერიკული მეთოდის საპირისპიროა, რადგან ხშირად, ვიღაცასთან ერთად მივირთმევთ და დიდად არ ვამახვილებთ ყურადღებას საჭმელზე. ჩვენთან კი ყველაფერი პირიქითაა“, – ამბობენ რესტორნის თანამშრომლები. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ კლიენტებს დაწესებულების პერსონალთანაც კი არ აქვთ ურთიერთობა. კერძების შეკვეთა და თანხის გადახდა რესტორანში შესვლისას, ავტომატის საშუალებითაა შესაძლებელი.

წყურვილის გარეშე, წყლის დალევა საზიანოა

თურქი სწავლულები აცხადებენ, რომ დიდი რაოდენობით წყლის მიღება, რასაც ბევრი სპეციალისტი თავგამოდებით გვირჩევს, სინამდვილეში, ვნებს ორგანიზმს. ნეფროლოგების თქმით, სითხე რეცხავს და გამოდევნის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ელემენტებს. კერძოდ, გამოიდევნება ნატრიუმი, რომელიც ადამიანის სისხლში, ნორმაში 135-145 მლ/მოლს უნდა შეადგენდეს ლიტრზე. თურქი ექსპერტების თქმით, ნატრიუმის უკმარისობის დროს, შესაძლოა, ადამიანი წყლით მოიწამლოს. ნატრიუმის შევსებას ზოგი მარილის დიდი რაოდენობით მიღებით ურჩევს, თუმცა გულითა და თირკმელებით დაავადებულ ადამიანებს ამით გამოუსწორებელი ზიანი მიადგებათ. არც ის მოსაზრებაა სწორი, თითქოს, დიდი რაოდენობით წყლის მიღება წონის დაკლებას უწყობს ხელს, – აღნიშნავენ სპეციალისტები.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.